პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 125 (9593) | პარასკევი, 29 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

პასუხსაგები პერიოდი პროპაგანდისტულ მუშაობაში — **მოწინავე** (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
ამბები საკოლმეურნეო სოფლებიდან (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში (მე-2 გვერდი).
საძღვისო თემაზე. — ტრაქტორისტის მარჯვენა ხელი (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა. — **ს. შონია.** — ინგირის სასოფლო საბჭო (მე-2 გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება ჩაის უხვი მოსავლისათვის. — ქუთაისელები წულუკიძელებს ეჯიბრებიან.
ერთი მილიონი კილოგრამი ჩაი გეგმის გადამეტებით (მე-2 გვერდი).
ხალხთა მეგობრობის დრუჟბა (მე-2 გვერდი).
ტექნიკური პროგრესის გზაზე. — **ალ. ტაბაკა.** მარგანეცის მრეწველობაში. ინჟინერ-ტექნიკოსი [illegible] წევა (მე-2 გვერდი).
უცხოეთის პრესის გამოხმაურება „პრავდის“ მოწინავე სტატიის გამო „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“ (მე-3 გვერდი)
მკითხველთა შენიშვნები (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში (მე-4 გვერდი).

პასუხსაგები პერიოდი პროპაგანდისტულ მუშაობაში

პარტიის ახალი წესდება, რომელიც XIX ყრილობამ მიიღო, თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს — მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად. ამასთან კიდევ უფრო გაძლიერებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პროპაგანდისტული მუშაობისათვის. პირველადი პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა, ნათქვამია წესდებაში, პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური განათლების მოწყობა და მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში მათ მიერ ცოდნის მინიმუმის შეთვისებისადმი კონტროლი.

პროპაგანდისტული მუშაობის უკეთ დაყენება, პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური ცოდნის ამაღლება წარმოადგენს ცხოვრების ყველა დარგში მათი მოწინავე როლის გაძლიერების, კომუნისტების შემდგომი აქტივობის და პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

ახორციელებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები წარმატებით სძლევენ იდეოლოგიური მუშაობის იმ აშკარა შეუფასებლობას, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აგრეთვე მთელი რიგი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ყოფილ ხელმძღვანელობას ახასიათებდა. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და კონფერენციებზე, რომლებიც ამას წინათ გაიმართა, ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავს კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური მომზადების ამაღლებისათვის, ცუდად აწყობს და სუსტ კონტროლს უწევს მათს მუშაობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლის საქმეში, რის შედეგადაც ბევრ მათგანს არა აქვს საჭირო ცოდნა მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში.

პარტიული პროპაგანდისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად თბილისის, სუხუმის, ქუთაისის, სტალინირის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებებია კომუნისტების მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლებაში. პოლიტიკური განათლების ყველა რგოლში — წრეებში, სკოლებსა და სემინარებში არ არის უზრუნველყოფილი მეცადინეობის მაღალი იდეური და ორგანიზაციული დონე. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ხელმძღვანელობა კომუნისტთა პოლიტიკური სწავლებისადმი უმთავრესად იმით გამოიხატებოდა, რომ ისინი რაიკომებს პერიოდულად უგზავნიდნენ სტანდარტულ კითხვარებს, ადგილებზე მისვლისა და საქმიანი დახმარებისათვის კი „დრო არ რჩებოდათ“. სწორედ ამით აიხსნება, რომ ხულოს, შუახევისა და ბათუმის რაიონებში ხშირია მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები, დაბალია მსმენელთა მომზადების იდეური დონე, ხოლო პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები გადამჭრელ ბრძოლას არ უცხადებდნენ ამ შეუწყნარებელ მოვლენებს.

პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტულ მუშაობაში დაიწყო პასუხსაგები პერიოდი — კომუნისტების პოლიტიკური სწავლის შედეგების შეჯამებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდი. როგორც ცნობილია, პარტიული განათლების სკოლებსა და წრეებში მეცადინეობა მთავრდება სოფლად მაისის დამლევს, ხოლო ქალაქად ივნისის დამლევს. მთელმა რიგმა პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უკვე მოაწყეს პროპაგანდის მუშაკთა თათბირები, აქტივის კრებები, პროპაგანდისტთა და კონსულტანტთა სემინარები, სადაც მათ მისცეს რჩევა-დარიგება შემაჯამებელი მეცადინეობის, ჯგუფურ თეორიულ გასაუბრებათა მოწყობისა და მეთოდიკის საკითხებზე. 19-20 მაისიდან სოფლად პოლიტსკოლებსა და წრეებში იმართება ჯგუფური მეცადინეობა, ჯამდება წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები. ეს შედეგები ცხადყოფენ, რომ კომუნისტთა დიდმა უმრავლესობამ გულმოდგინედ შეისწავლა პარტიის XIX ყრილობის მასალები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა პარტიის ყველა წევრისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ამა წლის 9 მარტის გამოსვლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს III სესიის გადაწყვეტილებანი და მასალები.

შემაჯამებელი მეცადინეობა და ჯგუფური თეორიული გასაუბრება კომუნისტების პოლიტიკური სწავლებისადმი კონტროლის დიდმნიშვნელოვანი ფორმებია. ამიტომ სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებული მთელი მოსამზადებელი მუშაობა, შემაჯამებელი მეცადინეობისა და ჯგუფურ თეორიულ გასაუბრებათა მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება რაიონული, საქალაქო კომიტეტებისაგან, თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან მოითხოვს ყოველდღიურ ხელმძღვანელობას და შეუსუსტებელ კონტროლს. სადაც ამ მოთხოვნას ივიწყებენ, იქ შედეგებიც არასახარბიელოა. მაგალითად, როგორც ჩვენ ვწერდით, ზნაურის რაიონის მთელ რიგ წრეებსა და სკოლებში შემაჯამებელი მეცადინეობა დაბალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე მოეწყო. კომუნისტებმა წინასწარ არ იცოდნენ მეცადინეობის დრო და ადგილი, მსმენელთა აქტივობა ნაკლები იყო, პროპაგანდისტის მიერ დაყენებული კითხვები არ მოიცავდა წლის განმავლობაში გავლილ მასალას. შემაჯამებელი მეცადინეობის ამ ნაკლოვანებათა მხილებას და სწრაფად აღმოფხვრას დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის, მთელი პროპაგანდისტული მუშაობის აღმავლობისათვის.

თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტებისათვის პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ ჯგუფური თეორიული გასაუბრებები და სემინარები, რაც კომუნისტებს ეხმარება სასწავლო წლის განმავლობაში შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და გაღრმავებაში. საჭიროა აგრეთვე ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ორგანიზებულად ჩატარდეს გამოცდები და ჩათვლები მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებსა და რაიონულ პარტიულ სკოლებში.

პოლიტიკური განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებასთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა საჭირო პირობა უნდა შექმნან პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად და ახალი სასწავლო წლისათვის წარმატებით მოსამზადებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტთა კადრების გულმოდგინედ შერჩევას და ზაფხულის პერიოდში მათ გადამზადებას. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა კარგად გაითვალისწინონ გასული სასწავლო წლის შედეგები, ფართოდ განაზოგადონ დადებითი გამოცდილება, დროზე და სწორად დააკომპლექტონ სკოლების, წრეებისა და სემინარების ქსელი, ბოლომდე აღმოფხვრან პროპაგანდისტული მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი — თვითდინება და უკონტროლობა.

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში, აქედანვე გავაჩაღოთ მზადება მომავალ წელს ნაყოფიერი მეცადინეობისათვის — ასეთია ახლა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანა.

უფრო ფართოდ გავავრცელოთ ნოვატორი ხარაგის ვასილ კოლესოვის თაოსნობა

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილება

ჩვენი ქვეყნის ლითონდასამუშავებელ საწარმოებში ლითონის ჭრის ჩქაროსნულ მეთოდთან ერთად ამ ბოლო დროს სულ უფრო ფართოდ ვრცელდება დიდი მიწოდების გამოყენებით დეტალების დამუშავების წესი. ჭრის ეს მეთოდი შეიმუშავა შუა ვოლგის ჩარხმშენებელი ქარხნის ნოვატორმა ხარატმა ვასილ კოლესოვმა. წარჩინებული სტახანოველი და მისი მიმდევარნი მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, კიევში, მინსკსა და სხვა ქალაქებში დიდ წარმატებებს აღწევენ შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და მოწყობილობის გამოყენებაში.

27 მაისს ვ. ა. კოლესოვის თაოსნობის გავრცელების საკითხი განხილულ იქნა საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების, მთელ რიგ პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების თავმჯდომარეებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

სამდივნოს სხდომაზე ვ. კოლესოვმა ილაპარაკა მის მიერ შემუშავებული საჭრისის ახალი გეომეტრიის უპირატესობებზე, რაც უზრუნველყოფს საჭრისის დიდ მიწოდებას და ნაქლიბის კარგად გაწმენდას. შემდეგ ნოვატორმა დამსწრეთ გაუზიარა მუშაობის გამოცდილება.

მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ი. კოსტოუსოვმა ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომელთა მიზანია ხარატ კოლესოვის თაოსნობის გავრცელება მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქარხნებში.

მოიწონა რა შუა ვოლგის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატის ამხ. კოლესოვის თაოსნობა, საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო და საქარხნო კომიტეტებს გასწიონ მისი პოპულარიზაცია, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დიდი მიწოდების გამოყენებით ლითონის ჭრის ფართოდ დანერგვას. (საკდესი).

ჩვენს დიად სამშობლოში

★

ზეგეგმითი ქსოვილები დაზოგილი ნართისაგან

ივანოვო, 27 მაისი. (საკდესი). გუშინ კიროვის სახელობის საფეიქრო ფაბრიკის ოსტატთა ყველა თანაშემწემ დაზგებზე ახალი ქსელის გამართვა დაიწყო ეგრეთწოდებული მოსორალე კვანძით, რომელიც ივანოვოს საფეიქრო ინსტიტუტის საწარმოო-ტექნიკური ლაბორატორიის ოსტატმა ამხ. პეტროვმა და შუაია — ტეზინსკის სართავსაქსოვი ფაბრიკის ოსტატის თანაშემწემ ამხ. შაროვმა შეიმუშავეს. ქსელის ნარჩენი შემცირდა. საწარმო მას წუთში 200 მეტრამდე დაზოგავს.

ფაბრიკის კოლექტივი სისტემატურად ახორციელებს სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებსაც, რომლებიც ხელს უწყობენ საწარმოო დანაკარგების შემცირებას. აქ იყენებენ განსაკუთრებულ სავარცხელს სახამებელი მანქანებიდან ქსელის გადმოღების დროს. ამის მეოხებით მისი ძაფი იბურდება, მაგრამ არ ინასკვება. ფიბრის ფირფიტებისაგან გაკეთებული სპეციალური ჩალითები ქსელს იცავენ გაჭუჭყიანებისაგან. ოსტატ ამხ. კულიკოვის მიერ გაუმჯობესებული მასრასაჭერები საფეიქრო ავტომატებზე 20-25-ჯერ ამცირებენ შულო ნართის გამოვარდნას.

მუშებს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან თვითეულ ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის, ეკონომიის პირადი ანგარიშები აქვთ. ყოველი მესამე მქსოველი მზოლოდ საუკეთესო ნაწარმს იძლევა.

ოთხი თვისა და ოცდახუთი დღის განმავლობაში ფაბრიკამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 500 ათას მეტრზე მეტი მაღალხარისხოვანი ქსოვილი, აქედან 300 ათასამდე მეტრი — დაზოგული ნართისაგან. ამავე დროს ფეიქრებმა დაზოგეს თითქმის 18 ტონა სახამებელი და დიდძალი დამხმარე მასალა. პროდუქციის თვითღირებულება 300 ათასი მანეთით შემცირდა.

ნავიგაცია თეთრ ზღვაზე

ბელომორსკი, 25 მაისი. (საკდესი). თეთრ ზღვაზე ნავიგაცია გაიხსნა. გუშინ არხანგელსკიდან ბელომორსკს ჩამოვიდნენ პირველი საზღვაო ბუქსირები „კლაიპედა“ და „აზოვოდი“, რომლებმაც ჩამოიყვანეს დახერხილი ხე-ტყის მასალითა და ბალანსით დატვირთული გემები.

★★

ყირგიზეთის მაღაროელთა წარმატებანი

სულიუკტა (ოშის ოლქი), 26 მაისი. (საკდესი). „სულიუკტაუგოლის“ ტრესტის მაღაროელები ზრდიან სათბობის ამოღებას.

№ 9 შახტის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ხუთი თვის გეგმა და ივნისის ანგარიშში უკვე ამოიღო ოთხი ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი სათბობი. უბანმა, რომელსაც ამხ. დენისენკო ხელმძღვანელობს, ქვანახშირის ამოღება დაიწყო წლის მეორე ნახევრის ანგარიშში.

ტროლეიბუსების გამოშვება

ენგელსი (სარატოვის ოლქი). 26 მაისი. (საკდესი). დღეს ქალაქ ენგელსის ურიცკის სახელობის ქარხნის კოლექტივმა ლენინგრადში, ფრუნზესა და ვლადიმირში გაგზავნა ტროლეიბუსების მორიგი პარტია. ამ დღეებში ამ საწარმოს მიერ გამოშვებული მანქანები გაიგზავნა კუიბიშევში, ბაქოსა და ალმა-ატაში.

ურიცკის სახელობის ქარხნის კომფორტაბელური ტროლეიბუსები დადიან ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქის ქუჩებში. საწარმოს კოლექტივი განუწყვეტლივ ადიდებს მათს გამოშვებას. მიმდინარე წლის არასრული ხუთი თვის მანძილზე ქარხანამ გამოუშვა 42 ტროლეიბუსი მეტი, ვიდრე შარშან ამავე დროის განმავლობაში. შრომის ნაყოფიერება ერთნახევარჯერ გაიზარდა.

უნივერსალური ტრაქტორი „ბელარუსი“

მინსკი, 26 მაისი. (საკდესი). მინსკის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა შექმნა ახალი თვლებიანი ტრაქტორი „ბელარუსი“. გარეგნულად იგი ცოტათი განსხვავდება ჩვეულებრივი ტრაქტორებისაგან, მხოლოდ თვლები აქვს შინებიანი და არა ლითონის კბილებიანი, როგორც ჩვეულებრივ.

ახალი მანქანის ერთ-ერთი ძირითადი ღირსება ის არის, რომ იგი შეიძლება გამოვიყენოთ არა მარტო ხვნის, ფარცხვის, თესვის, კულტივაციის დროს, არამედ სათოხნი კულტურების მწკრივთა შორის დამუშავების დროსაც. სიჩქარეთა ფართო დიაპაზონი — 4,5-დან 13 კილომეტრამდე საათში შესაძლებელს ხდის ტრაქტორის გამოყენებას საწევრადაც. ტრაქტორს აქვს აგრეთვე სამარჯვი სალეწი, სანიავებელი და სხვა სტაციონარული მანქანების ასამუშავებლად. ტრაქტორს აქვს 37-ცხენისძალიანი დიზელის ძრავი.

მიმდინარე წელს საწარმო გამოუშვებს ტრაქტორ „ბელარუსის“ ორ მოდელს — მტზ-1 და მტზ-2. მოდელები ერთმანეთისაგან განსხვავდება წინა თვლების კონსტრუქციით. მტზ-1 ტრაქტორზე თვლები შეწყვილებულია, რის გამო მანქანა უფრო მანევრულია.

ახლა საწარმოში მთავრდება მზადება ახალი ტრაქტორის სერიული გამოშვებისათვის.

★

მეგაღეობისა და მევენახეობის განვითარება

ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ვითარდება მეგაღეობა და მევენახეობა. **დონისტნის** კოლმეურნეობათა შემოსავლის ნახევარზე მეტს მეგაღეობის შემოსავალი შეადგენს. ამ გაზაფხულზე რესპუბლიკაში ბაღებისა და ვენახების ფართობი 450 ჰექტარით გადიდდა. დასახულია დიდი სამუშაოები ხეხილის ბაღების და ვენახების განახლებისათვის, 146 ათასი გაველურებული ხეხილის კულტურული ჯიშებით ხელახლა დამყნისათვის.

ფერგანის ველში მეგაღეობა სულ უფრო ვრცელდება წვრილქვიან მიწებზე. უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის რ. რ. შრედერის სახელობის ხილ-კენკრის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოიკვლიეს და ბაღებისა და კენკრის მცენარეების გასაშენებლად ვარგისად ცნეს 80 ათასი ჰექტარი.

ესტონეთის ასობით მოხალისე სელექციონერი შრომობს ახალი ჯიშების ხეხილის გამოსაყვანად. ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მემცენარეობის ინსტიტუტი ეწევა მცდელთა მიერ ახლად გამოყვანილი ჯიშების შერჩევას. ინსტიტუტის პოლისის ფილიალში შეიქმნა ბაღი, სადაც აშენებენ მიჩურინელთა მიერ გამოყვანილ მცენარეებს. აქ ხარობს ესტონელ მოხალისე სელექციონერთა მიერ გამოყვანილი ასობით ჯიშის ხეხილი და კენკრის მცენარე. (საკდესი).

ღიდდება კონსერვის წარმოება

ტირასპოლი (მოლდავეთის სსრ), 26 მაისი. (საკდესი). დღეს მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანამ დაიწყო საწარმოო სეზონი. დამზადებულია პირველი ათეულ ათასობით ქილა ისპანახის კონსერვი.

უახლოეს დღეებში მოლდავეთის საკონსერვო ქარხნები შეუდგებიან ბალის, მწვანე ბარდისა და მარწყვის გადამუშავებას.

წელს კონსერვის გამოშვება გადიდდება 38 მილიონ ქილით.

ამბები საკოლმეურნეო სოფლებიდან

მაღალი მოსავლისათვის

ჭარელი. („კომუნისტის“ კორ.). ფართოდ გაჩაღდა შაქრის ჭარხლის პლანტაციების დამუშავება. სოფელ ფცის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ დაამთავრეს ნათესების გამოხშირვა, ნიადაგის ღრმა გაფხვიერება და მინერალური სასუქებით გამოკვება, დაიწყეს რწყვა.

წარჩინებულმა მეჭარხლემ შ. კოშკაძემ იკისრა ჰექტარზე მიიღოს 600 ცენტნერი ჭარხალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 195 ცენტნერისა.

ჭარხლის პლანტაციებს მზრუნველობით უვლიან ავრეთვე კოლმეურნეები გ. ჯოჯიშვილი, მ. ოსაძე, ქ. ბერუაშვილი, მ. კვენიაშვილი.

* * *

ხორციელდება სერიოზული ღონისძიებანი აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის განსამტკიცებლად. წელს 7 ჰექტარზე გაშენდა ხანერგე სკოლა, ხოლო 15 ჰექტარზე — თუთის ხის პლანტაცია, რომლის წესით გამორგულია 5.000 ძირი თუთის ხე.

* * *

აგარის მტს-მა წელს თავთავიანი კულტურების მოსავალი 5.600 ჰექტარზე უნდა აიღოს. მტს-ში ემზადებიან მოსავლის ასაღებად. უკვე შეკეთებულია 10 კომბაინი. კომბაინერებმა ვ. ნოზაძემ, ზ. ჩუტკერაშვილმა, ა. ტიტვინიძემ, ს. ბერუაშვილმა, ვ. გელაშვილმა და ა. გეგელაშვილმა ყველაზე ადრე დაამთავრეს მანქანების რემონტი.

შაქრის ჭარხლის ნათესი კარგია

ხაშური. („კომუნისტის“ კორ.). გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. დაბალი ზონის კოლმეურნეობებში წელს ჭარხალი აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად დაითესა. ნათესი კარგად არის განვითარებული, ლიკვიდირებულია სიმეჩხრე.

სოფლების ვაყის, ზემო ოსიაურის, გვერდისუბნის, ცხრაბუხისა და გომის კოლმეურნეობებში დაამთავრეს ჭარხლის მწკრივთა შორის პირველი გაფხვიერება. ამჟამად მიმდინარეობს ნათესების გამოხშირვა.

ყაზანლიყის ვარდის კრეფა

ლაგოდეხი. („კომუნისტის“ კორ.). მოწინავე კოლმეურნეები კარგად უვლიან ყაზანლიყის ვარდის პლანტაციებს და ამის შედეგად უხვ მოსავალსაც იღებენ. სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ ყოველდღიურად 2.500 კილოგრამ ყაზანლიყის ვარდს კრეფენ. კოლმეურნე მ. მესაშვილმა ორი საათის განმავლობაში მოკრიფა 33 კილოგრამი ვარდი, გეგმა კი 15 კილოგრამს ითვალისწინებდა.

უხვ მოსავალს იღებენ სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ჰექტარზე გეგმის გადამეტებით 5 ცენტნერ ვარდის ფოთოლს კრეფენ, ზოგიერთ ნაკვეთზე კი მეტსაც.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

★

წყალსაცავის მშენებლობაზე ბულგარეთში

სოფია, 27 მაისი. (საკდესი). გაჩაღებულია ბულგარეთის ერთ-ერთი უდიდესი წყალსაცავის — დიმიტროვის სახელობის წყალსაცავის მშენებლობა მდინარე ტუნჯაზე. კაშხალი უკვე აყვანილია 40 მეტრზე მდინარის დონიდან. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს 24 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხის აგების სამუშაოები. მძლავრი საბჭოთა ტექნიკის გამოყენებისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების მეოხებით წყალსაცავის მშენებლობა დამქმულ ვადაზე ადრე დამთავრდება.

მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში

პრაღა, 27 მაისი. (საკდესი). ქალაქ პლზენის ვ. ი. ლენინის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა ბევრ ახალ მანქანასა და მექანიზმს უშვებს ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო საწარმოებისათვის, მშენებლობებისა და შახტებისათვის.

ქარხანა უშვებს 55 ათასი კილოვატი სიმძლავრის სპეციალურ ორთქლის ტურბინებს, აგრეთვე ბრძმედების ტურბინკომპრესორებს.

ქარხანაში გაკეთდა მძლავრი ჰორიზონტალური გენერატორი დიბშინის ელექტროსადგურისათვის. ქარხანა უშვებს არა მარტო ორთქლმავლებს, მძლავრ ექსკავატორებს, ელმავლებს, ტურბინებს, ამწეებს, გენერატორებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, ყველაზე პატარა ჩარხებიდან გენერატორამდე, არამედ აგრეთვე პოლიგრაფიულ მანქანებს, ქიმიური და კვების მრეწველობის მანქანებს.

★ ★

მეტალურგიული ქარხნის აღდგენა ანხუეის პროვინციაში

შანხაი, 26 მაისი. (საკდესი). ანხუეის პროვინციის მაანშანის ქარხანა ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი მეტალურგიული საწარმო იყო. 1945 წელს იაპონელმა დამპყრობლებმა ნანგრევებად აქციეს იგი.

როგორც დღეს გაზეთი „ვენგუიბაო“ იუწყება, ამჟამად მთავრდება მაანშანის მეტალურგიული ქარხნის აღდგენის მოსამზადებელი სამუშაოები. ჩინეთის ყველა კუთხიდან აქ მოდიან ტექნიკური სპეციალისტები, მშენებელთა კვალიფიციური კადრები, ჩამოდის საშენი მასალები და მოწყობილობა. მშენებლთათვის მომზადებულია საცხოვრებელი შენობები, გახსნილია ამბულატორიები, კომუნალური საწარმოები.

კადრების მოამზადება უნგრეთის მრეწველობისათვის

ბუდაპეშტი. უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული მთავრობა დიდ სახსრებს ხარჯავს კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად. უნგრეთში შექმნილია შრომითი რეზერვების სამმართველოს 130 სახელოსნო სასწავლებელი.

შრომითი რეზერვების საერთო საცხოვრებლებში ამჟამად ცხოვრობს 24 ათასი მოსწავლე ანუ 4.400-ით მეტი, ვიდრე გასულ წელს ცხოვრობდა. დიდი ყურადღება ექცევა სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა კულტურულ აღზრდას, აგრეთვე მათი დასვენების ორგანიზაციას. მათს განკარგულებაშია 218 ბიბლიოთეკა, რომლებშიც 150 ათასზე მეტი ტომი ითვლება, კლუბები და წითელი კუთხეები.

ამჟამად მოსწავლეები ემზადებიან გამოცდებისათვის. სწავლის დამთავრების შემდეგ მათგან 12 ათასი კაცი მიიღებს უფასო საგზურებს უნგრეთის საუკეთესო დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე გასაგზავნად, რაზედაც შრომითი რეზერვების სამმართველო წელს ხარჯავს 10 მილიონ ფორინტს. (საკდესი).

★

კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა პოლონეთში

ვარშავა, 27 მაისი. (საკდესი). სილეზიის ქვანახშირის აუზის ცენტრში სტალინოგრუდსა და ხოჟუვს შორის შენდება კულტურისა და დასვენების პარკი 600 ჰექტარ ფართობზე. ამჟამად 200 ჰექტარზე უკვე დარგულია 800 ათასამდე ნერგი და 40 ათასი ხე. აქ აშენდება საზაფხულო თეატრი 10 ათასი მაყურებლისათვის, პლანეტარიუმი, ობსერვატორია, აუზი და საბავშვო რკინიგზა.

მეცნიერების განვითარება ალბანეთში

ტირანა. 1947 წელს ალბანეთში შეიქმნა მეცნიერებათა ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტთან სასოფლო-სამეურნეო, ბუნებისმეტყველების და არქეოლოგია-ეთნოგრაფიის მუზეუმი. ინსტიტუტის განყოფილებებმა — ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ეკონომიკის, ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილებებმა დიდი მუშაობა შეასრულეს.

მომზადებული და ასაწყობად გადაცემული რუსულ-ალბანური და ალბანური ლექსიკონები.

ინსტიტუტის მეცნიერული მოღვაწეობა ეწყობა მზარდი სახალხო მეურნეობის საჭიროების გათვალისწინებით. შეიქმნა მეტეოროლოგიური სადგურების ქსელი, წარმოებს ჰიდრომეტეოროლოგიური მუშაობა ხუთი სარწყავი არხისა და სხვა ჰიდრონაგებობათა შექმნასთან დაკავშირებით. შეიქმნა მცურავი სამეცნიერო-საკვლევი სადგური, რომელიც გამოიკვლევს ალბანეთის წყლებს. (საკდესი).



1. სწრაფი ტემპებით წარმოებს ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პირველ სოციალისტურ ქალაქ სტალინვაროშში. **სურათზე:** ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის ერთ-ერთი უბანი. 2. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა. ამას წინათ ქალაქ გაბროვოში ამუშავდა ბამბის სართავი ფაბრიკა „ბალკანი“. ეს ბულგარეთის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო იქნება. ფაბრიკა „ბალკანის“ ნათელ და ფართო საამქროებში 30 ათასი თითისტარი იმუშავებს. **სურათზე:** ახალი მანქანები ფაბრიკა „ბალკანში“.

საღლეისო თემაზე

ზრაქზორისზის მაარჯვენა ხელი

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები წამყვანი ძალაა სოფლის მეურნეობაში. მექანიზატორების მუშაობაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა.

მექანიზატორთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს მისაბმელ მანქანაზე მომუშავე, რომელიც ტრაქტორისტის მარჯვენა ხელია. მისაბმელ მანქანაზე მომუშავემ უნდა იცოდეს იმ მანქანის მართვა, რომელზეც მუშაობა უნდება, შესწევდეს მანქანის შეფერხების მიზეზების დროულად აღმოჩენის უნარი. მტს-ების დირექტორებმა კოლმეურნეობათა გამგეობებთან ერთად ამ საქმეზე სამუშაოდ უნდა გამოჰყონ საუკეთესო, მცოდნე კოლმეურნეები, რომლებსაც აქვთ საამისო გამოცდილება.

სადაც ჯეროვნად აფასებენ მისაბმელ მანქანაზე მომუშავის როლს, ეხმარებიან მას, ხოლო ეგიც თავის მხრივ უნარიანად წარმართავს საქმეს, იქ წარმატებებიც არის.

თელავის მტს-ს ყველა ტრაქტორზე ჰყავს მისაბმელ მანქანაზე ორი მომუშავე (ცვლის მიხედვით). ისინი დაუფლებული არიან არა მარტო ამ იარაღების, არამედ ტრაქტორის მართვასაც. სანამ ტრაქტორისტი საჭესთან დაჯდებოდეს, მისაბმელ მანქანაზე მომუშავე, როგორც მისი თანაშემწე, სამუშაოდ ამზადებს მანქანას, ტექნიკურად უფლის მას, გარდა ამისა, ტრაქტორისტს ენაცვლება შესვენების დროს.

მაგრამ არის ამ პროფესიის მუშაკთა შეუფასებლობის შემთხვევები. მაგალითად, საგარეჯოს რაიონის სოფელ კრასნოგორსკის კოლმეურნეობის გამგეობამ მისაბმელ მანქანაზე მომუშავე არ გამოყო. ამის გამო ტრაქტორისტი ა. ხითარიშვილი იძულებული ხდებოდა ტრაქტორის ყოველ მობრუნებაზე ჩამოსულიყო და გუთანი წესრიგზე მოეყვანა. ამან დღეში ტრაქტორის 3-4 საათით გაცდენა და საწვავის გადახარჯვა გამოიწვია და, ცხადია, შეაფერხა მინდვრის სამუშაოთა დროულად შესრულება.

ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც დმანისის რაიონის მტს-შია. აქ სოფელ ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში მეორე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტი ხ. გუმბაროვი მინდვრად ისე მუშაობდა, რომ მანქანაზე მომუშავე არ ჰყავდა. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ბოლნისის, თიანეთის რაიონების მტს-ებშიც.

მისაბმელ მანქანაზე მომუშავეთა კადრების მომზადებას, მათ მიერ რამდენიმე პროფესიის დაუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის დარგში. ამ მხრივ საინტერესოა სტავროპოლის მხარის ნადეჟდინის მტს-ის ინიციატივა მექანიზატორთა მიერ რამდენიმე პროფესიის დაუფლების დარგში. საჭიროა ამ შესანიშნავ თაოსნობას მხარი დაუჭიროს ჩვენმა ახალგაზრდობამ. მექანიზატორთა ტექნიკური სწავლება, ორი-სამი პროფესიის დაუფლება მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების ახალი დამატებითი საშუალებაა.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მექანიზატორთა, და მათ შორის, მანქანებზე მომუშავეთა იდეურ-პოლიტიკური დონის, საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას და დარაზმონ ისინი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი სახის მინდვრის სამუშაოებია გაჩაღებული, აუცილებელია კიდევ უფრო ავამაღლოთ მისაბმელ მანქანებზე მომუშავეთა ავტორიტეტი, გავზარდოთ მათი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისათვის.

ახალგაზრდა კადრები მრეწველობას

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). საქარხნო-საფაბრიკო სწავლების სკოლამ ახლახან გამოუშვა 170 კვალიფიციური ახალგაზრდა. მათ შორის არიან მნგრეველები, მექანიზმებზე მომუშავენი, ამწმენდები, მბურღავები, მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკებში მომუშავენი.

ახალგაზრდები კარგად არიან დაუფლებული მაღაროელის საპატიო პროფესიებს.

სოციალისტური შეჯიბრება ჩაის უხვი მოსავლისათვის

ქუთაისელები წელუკიძელებს ეჯიბრებიან

ქუთაისი. („კომუნისტის“ კორ.). როგორც კი მიიღეს გაზეთ „კომუნისტის“ 22 მაისის ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ზუგდიდის რაიონის მოწინავე მეჩაიეების რაიონული შეკრების მონაწილეთა მიმართვა საქართველოს მეჩაიე კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების მუშებისა და სპეციალისტებისადმი, ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებში გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს ახალი ვალდებულებანი.

სოფელ რიონის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დადეს 26 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 4.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ცალკეულმა ბრიგადებმა და კოლმეურნეებმა. მაგალითად, მეექვსე ბრიგადის ხელმძღვანელმა გიგი მაღლაფერიძემ ვალდებულება იკისრა 14 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 4.200 კილოგრამი ჩაი. კოლმეურნეების ოლია ტუკვაძის, აგრაფინა ალბაზაშვილის, თინა სირბილაძის გადაწყვეტილებაა ყოველდღიურად მოკრიფონ 60-70 კილოგრამი ფოთოლი. ამავე სოფლის კაკვეიძის სახელობის კოლმეურნეობამ ზუგდიდელთა მიმართვის საპასუხოდ შეჯიბრებაში გამოიწვია მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობა და იკისრა 65 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3,5 ტონისა მიიღოს 4 ტონა ფოთოლი.

კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადამ (ხელმძღვანელი გრიგოლ სინატაშვილი), რომელმაც შარშან 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4 ტონა ნედლეული მიიღო, წელს იკისრა 4,5 ტონა ფოთოლი მოკრიფოს. თინა მამრიკიშვილმა, ეუეუნა ძოწენიძემ, მარო წკეპლაძემ, ტატიანა ხურციძემ პირობა დადეს ჩაის კრეფის ყოველდღიური გეგმები ოთხმაგად გაანაღდონ.

ოფურჩხეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი წამყვანი კოლმეურნეობაა რაიონში. აქ ჩაის პლანტაციას 114 ჰექტარი ფართობი უჭირავს. კოლმეურნეობას გეგმით წელს თვითეულ ჰექტარზე უნდა მოეკრიფა 2.400 კილოგრამი ფოთოლი, შეჯიბრებაში ჩაბმისას კოლმეურნეებმა იკისრეს მოკრიფონ — 3.000 კილოგრამი.

ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ქუთაისის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია წულუკიძის მეჩაიეები და იკისრა თვითეული ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოსავლიანობა გადიდოს 353 კილოგრამით და სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბაროს 150 ტონა ხელოვნური. ნაკისრი ვალდებულებანი ითვალისწინებენ აგრეთვე ჩაის პლანტაციის მწკრივთა შორის ოთხჯერ გათოხნასა და კულტივაციას, მოწინავე მკრეფავთა გამოცდილების დანერგვას.

შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ რაიონის კოლმეურნეობებში უფრო დაჩქარდა კრეფის ტემპი.

ერთი მილიონი კილოგრამი ჩაი გეგმის გადამეტებით

ქობულეთი. (საკ. კორ.). კოლმეურნეები ერთსულოვნად იწონებენ ზუგდიდელთა პატრიოტულ თაოსნობას ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ქობულეთელი მეჩაიეების ვალდებულებაა პლანტაციების მთელ ფართობზე ჩაატარონ ოთხჯერადი გათოხნა და კულტივაცია, უზრუნველყონ მინერალური და ორგანული სასუქების საჭირო რაოდენობით შეტანა, განუწყვეტლივ კრიფონ ჩაის ფოთოლი, არ დაუშვან დანაკარგები, წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ ერთი მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ თვითეულ ჰექტარზე 4.506 კილოგრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.211-ისა.

სოფელ დაგვის ვორონოლოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 120 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ფოთოლი. ისინი წელს ჰექტარზე საშუალოდ 6.035 კილოგრამი ჩაის მიღებისათვის იბრძვიან. კოლმეურნეობის მეოთხე, მეხუთე და მეთორმეტე ბრიგადების ვალდებულებაა ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 7.000-7.500 კილოგრამი ნედლეული.

სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა პირობაა წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 40 ტონაზე მეტი ფოთოლი, ანუ ჰექტარზე საშუალოდ მოსავლიანობა გაზარდონ 6.100 კილოგრამამდე, ნაცვლად გასულ წელს მიღებული 5.592 კილოგრამისა.

კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის მეჩაიეები (ბრიგადის ხელმძღვანელი ო. მახარაძე) იბრძვიან იმისათვის, რომ ჰექტარზე მიიღონ 8.000 კილოგრამი ფოთოლი, ხოლო ამავე ბრიგადის მერგოლური გ. ჯინჭარაძე 3,7 ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანს 10.000 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიეებმა ბ. ნემსაძემ, ა. გოგიტიძემ, ქ. გიორგაძემ, გ. ვერულიძემ.

სოფელ ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ზუგდიდელთა მოწოდების განხილვისას იკისრეს სეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ სულ ცოტა 30.000 კილოგრამი ფოთოლი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მეზობელი კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმა“. ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წელს გაჩაღებულია ბრძოლა ჰექტარზე 5.300 კილოგრამი ფოთლის მოსაყვანად. აქ 24 მაისის ჩათვლით უკვე მოკრეფილი იყო 338 ტონაზე მეტი ჩაი, რაც მაისის დავალების 66,3 პროცენტს შეადგენს. სტახანოველი ფ. დოლიძე ჰექტარზე 16 ტონა ჩაის მოყვანისათვის იბრძვის.

ჩაის კრეფაში დაწინაურდნენ აგრეთვე სოფელ ქვედა ულიანოვკის კალინინის სახელობისა და სოფელ ნალას ლენინის სახელობის კოლმეურნეობები.

ხაღთა მეგობრობის დროშით

ორი მოძმე რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრება

რუსთავი. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის საამქროს კოლექტივს ატყობინებენ თავიანთ წარმატებებს, იმას, თუ რა დიდად დაეხმარება მათ მუშაობაში ორი მოძმე რესპუბლიკის მეტალურგთა მეგობრობა. მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქალაქ რუსთავის მგლინავები და ვალდებულება იკისრეს ცეცხლგამძლე ნაკეთობათა გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ სტალინური კონსტიტუციის დღისათვის, გეგმასთან შედარებით 1 პროცენტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება, შარშანდელთან შედარებით 30 პროცენტით გაადიდონ მზა პროდუქციის გამოშვება და დაზოგონ ბევრი სათბობი, ელექტროენერგია.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის საამქროს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა მიიღო თუმანიანელთა გამოწვევა და 1953 წლისათვის იკისრა შემდეგი ვალდებულებანი: გეგმის გადამეტებით გაგლინოს ათასობით ტონა ბლუმსი, შარშანდელთან შედარებით ერთი პროცენტით შეამციროს ბლუმსების თვითღირებულება, დაზოგოს 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 300 ტონა მაზუთი, 8 პროცენტით შეამციროს ელექტრომოწყობილობისა და მექანიკური მოწყობილობის შენახვის გეგმიანი ხარჯები.

გელათელი მეშახტეები დონბასელ თანამოძმეებთან შეჯიბრებაში

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.) ტყიბულელ და დონბასელ მეშახტეთა სოციალისტური შეჯიბრება უკვე ტრადიციად იქცა. წელს ეს შეჯიბრება ახალი ძალით ჩაღდება.

„დონბასანტრაციტის“ კომბინატის „კრასნოლუჩუგოლის“ მეორე შახტის მეშახტეებმა ამას წინათ წერილი გამოუგზავნეს გელათელ მეშახტეებს და წინადადება მისცეს ჩაებან მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის გეგმის გადაჭარბებით განაღდების უზრუნველსაყოფად.

გელათელმა მეშახტეებმა გამოწვევა მიიღეს და მომძმე დონბასელ მეშახტეებს მიმდინარე წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის თავიანთი პირობები შეატყობინეს.

„დონბასანტრაციტის“ კომბინატის მეორე შახტის კოლექტივთან შეჯიბრებაში გელათელმა მეშახტეებმა იკისრეს:

ქვანახშირის ამოღების მიმდინარე წლის გეგმის შესრულება დეკემბრის შუარიცხვებისათვის, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა წლიური დავალების 102 პროცენტით განაღდება, ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირება 5 მანეთით და 350 ათასი მანეთი დაგროვების მიღება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გაუქმოს საბჭოთა საკონტროლო კომისია გერმანიაში და გაათავისუფლოს საბჭოთა ჯარების მთავარსარდალი მის მიერ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკონტროლო ფუნქციების შესრულებისაგან და მისი საქმიანობა შემოფარგლოს გერმანიაში საბჭოთა ჯარების სარდლობით.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა დაწესდეს გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის თანამდებობა ადგილსამყოფელით ბერლინში, დაავალა რა მას საბჭოთა კავშირის ინტერესების წარმომადგენლობა გერმანიაში და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების საქმიანობისადმი მეთვალყურეობა ელჩისაზრისით, რომ ისინი ასრულებდნენ გერმანიის შესახებ მოკავშირე სახელმწიფოების პოტსდამის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, აგრეთვე სათანადო ურთიერთობის დამყარება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფალთა წარმომადგენლებთან სრულიად გერმანიის ხასიათის საკითხებზე, რომლებიც გამომდინარეობენ გერმანიის შესახებ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებული გადაწყვეტილებიდან.

სსრ კავშირის უმაღლეს კომისრად გერმანიაში დაინიშნა ელჩი ვ. ს. სემიონოვი.

ტექნიკური პროგრესის გზაზე

ახალი ტექნიკა მარგანეცის მრეწველობაში

ჭიათურაში ორი წელიწადია არსებობს სამთამადნო საცდელ-სამეცნიერო ლაბორატორია. იგი მუშაობს ახალი ტექნიკის, ახალი სამთო მექანიზმების ათვისება-დანერგვის პრობლემებზე.

მარგანეცის მრეწველობაში ყველაზე „ვიწრო ადგილი“ სანგრეველებსა და ლავებში მადნის დატვირთვაა. იგი ძალიან შრომატევადი პროცესია. ამიტომაა, რომ ამ საქმის გაუმჯობესებისათვის მუშაობს საცდელ-სამეცნიერო ლაბორატორიის კოლექტივი.

კრივი როგში შეიმუშავეს და დანერგეს მექანიკოს კორნეევის კონსტრუქციის მადნის სატვირთავი მანქანა. ამ კონსტრუქციის სამი მანქანა მიიღეს ჭიათურაშიც. ლაბორატორიის კოლექტივმა მანქანების გამოცდა მოაწყო დიმიტროვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში. გამოცდამ უჩვენა, რომ ჭიათურის პირობებში ამ მანქანას ზოგიერთი კონსტრუქციული ცვლილება ესაჭიროება. ამჟამად ცენტრალურ მექანიკურ სახელოსნოში მუშაობენ მანქანის გადაკეთება-გაუმჯობესებისათვის.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს მეექვსე უბანში ლაბორატორიამ გამოსცადა ერთ-ერთი მარკის ქვანახშირის სატვირთავი მანქანა. ჭიათურელმა სპეციალისტებმა ზოგიერთი ცვლილება ამ მანქანის კონსტრუქციაშიც შეიტანეს და იგი გამოსაცდელად გადასცეს ლაბორატორიის სამთო ინჟინრებს ა. ხობუას, მ. ბრეგვაძეს, უ. ტეფნაძეს, ინჟინერ-მექანიკოსებს გ. ზუმბაძეს და ი. კევლიშვილს.

უკანასკნელად ჭიათურაში მიიღეს მარგანეცის ელექტროსატვირთავი მანქანა. ინჟინრებმა უ. ტეფნაძემ და გ. ზუმბაძემ მანქანა გამოსცადეს სტალინის სახელობის მაღაროს მეოთხე უბანში. იგი ყოველ საათში ტვირთაკს 40-50 ტონა მადანს. ამ მანქანას გამოყენების დიდი პერსპექტივა აქვს ჭიათურის მაღაროებში.

მარგანეცის ხარისხის გაუმჯობესება და დანაკარგების შემცირება ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. ლაბორატორიის ინჟინრების გ. დეკანოზიშვილისა და გ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით (მათ კონსულტაციას უწევდა ტრესტის მთავარი ინჟინერი მადნის გაუხვების დარგში კ. ჯინჭველაშვილი) სტალინის სახელობის მაღაროს მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკაში აითვისეს და დანერგეს ელექტრომაგნიტური სეპარატორი, რომელიც საგრძნობლად უმჯობესებს მარგანეცის ხარისხს.

ინჟინერი გ. გაფრინდაშვილი ახლა მუშაობს ჰიდროსეპარატორის გამოყენებაზე. იგი ძალიან შეამცირებს მადნის დანაკარგს და სულ მცირე 5 პროცენტით გაზრდის მეოთხე ხარისხის მარგანეცის გამოსავალს, რაც ახლა დანაკარგებში მიდის.

საცდელ-სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომელმა მექანიკოსმა შ. ბუხრაშვილმა შექმნა მაღაროდან ბიგების გამოსატაცებელი საკუთარი კონსტრუქციის ჯალამბარი, რომელიც ბიგების დიდ ეკონომიას იძლევა. ამ ჯალამბრით შესაძლებელია ბიგები ლავებიდანაც გამოვიღოთ. ასეთი ჯალამბრის სერიულ დამზადებას შეუდგა ცენტრალური მექანიკური სახელოსნო.

ლაბორატორიის მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის ისე მოწყობილი, როგორც საჭიროა.

საცდელ-სამეცნიერო ლაბორატორია ნამდვილად უნდა გახდეს მარგანეცის მრეწველობაში ახალი ტექნიკის დანერგვის, ტექნიკურ-შემოქმედებითი აზრის განვითარებისა და წინსვლის, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის შტაბად.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ კორ.

ინჟინერ ა. ცქიტიშვილის მიღწევა

საბურთალოზე, ლისისა და დოლიძის ქუჩების კუთხეში, შენდება რვასართულიანი საცხოვრებელი სახლი მეცნიერმუშაკთათვის. ეს იქნება ერთ-ერთი დიდი საცხოვრებელი სახლი თბილისში. მისი მოცულობა იქნება 70.000 კუბმეტრი.

ამ სახლის მშენებლობისას ინჟინერმა ა. ცქიტიშვილმა განახორციელა საფუძვლის ამოყვანის ახალი მეთოდი, რაც საშენი მასალის დიდ ეკონომიას იძლევა. საფუძვლის ამოსაყვანად აქ დაპროექტებული იყო რკინაბეტონის ჩასაშვები ჭების ამოთხრა იმ მიზნით, რომ სახლის სიმძიმე კლდოვან საფუძველზე ყოფილიყო დაყრდნობილი. ინჟინერმა ა. ცქიტიშვილმა შეისწავლა სამუშაო ნახაზები და დარწმუნდა, რომ შესაძლებელი იყო რამდენიმე მცირედიამეტრიანი ჭის ამოთხრა, მათი გაერთიანება და ამით სახლის საფუძვლის კონსტრუქციული გამარტივება. ინჟინერ ცქიტიშვილის ეს წინადადება მოწონებულია. ამ მეთოდის განხორციელებით წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით, გაწეული იქნება 450.000 მანეთის, 94 ტონა რკინის და 200 ტონა ცემენტის ეკონომია.

ა. სილაგაძე.



ᲙᲘᲒᲘᲚᲘᲡᲘ. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის საკოტონე საამქროს კოლექტივმა უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაუმჯობესა მუშაობა. ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: საამქროს უფროსი ინჟინერი გივი ქორლაძე და კოტონ-მანქანებზე მომუშავე საუკეთესო ხტახანოველები ელისო ინაშვილი (ცენტრში) და ნინო ივანოვა.

ფოტო ვ. ზარიძისა.

საგჭოთა მშენებლობა

ინგირის სასოფლო საბჭო

ინგირი დიდი და კეთილმოწყობილი სოფელია ზუგდიდის რაიონში. სოფლის მშვენებაა ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკა, მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რკინიგზის სადგურის ახალი შენობა. მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურება საექიმო უბანი, ოთხი საფერშლო პუნქტი, საავადმყოფო, ორი საბავშვო ბაღი, სამი რვაწლიანი სკოლა, სამი ბიბლიოთეკა, კლუბი და სხვ. ინგირი ნამდვილი თანამედროვე საკოლმეურნეო სოფელია.

ინგირის სასოფლო საბჭო სერიოზულ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

სასოფლო საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ყალიჩავამ მე-10 ბრიგადაში ისე მოაწყო შრომა, რომ კოლმეურნეები უკლებლივ გამოდიან სამუშაოზე და გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. ბრიგადამ ყველაზე ადრე, აგროტექნიკური წესების დაცვით, დაამთავრა ჩაის პლანტაციების კულტივაცია, მათი ჩათოხნა სასუქების შეტანით, ბუჩქების გასხვლა და იკისრა 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 5.500 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. საბჭოს აქტივისტი კოლმეურნე ჩ. ოდიშარია იბრძვის იმისათვის, რომ 0,6 ჰექტარზე მიიღოს 8 ათასი კილოგრამი ჩაი. ასევე წარმატებით მუშაობენ დეპუტატები, სოციალისტური შრომის გმირები ა. შაპოშნიკოვა და ა. მელეშკო, სასოფლო საბჭოს აქტივისტი კოლმეურნე ო. ჭკადუა და სხვები.

კარგად მუშაობს სასოფლო საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია (თავმჯდომარე აგრონომი ი. ახალაია). კომისიას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს საბჭოს დეპუტატები და აქტივისტები, შედგენილი აქვს თვიური და კვარტალური სამუშაო გეგმები, აღმასკომის წინაშე სისტემატურად აყენებს აქტუალურ საკითხებს. კომისიამ აპრილსა და მაისში შეისწავლა და აღმასკომში შეიტანა შემდეგი საკითხები: ყამირი მიწების ათვისებისა და ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობის შესახებ, ვენახში მინერალური და ორგანული სასუქების შეტანის შესახებ და სხვ.

აღმასკომმა 12 აპრილის სხდომაზე მოისმინა საფერშლო პუნქტის გამგის დ. გაბრავას ინფორმაცია ზაფხულის პერიოდში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხზე და დასახა ღონისძიებანი. ახლა ჩაის მკრეფავი ბრიგადების მიხედვით შექმნილია მედიკამენტებით მომარაგებული სანიტარული საგუშაგოები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში სათანადო სამედიცინო დახმარებას უწევენ კოლმეურნეებს.

საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო კომისია სისტემატურად ზრუნავს სოფლის კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამჟამად სოფელში შენდება ორსართულიანი კაპიტალური შენობა კლუბის, ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსათვის. საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების მზრუნველობის მეობებით არჩევნების შემდეგ სოფელში გაუმჯობესდა კინომომსახურება, საექიმო პუნქტების მუშაობა, ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმე.

საბჭოს ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა, ყველა მუდმივი კომისია და დეპუტატი აქტიურად რომ მონაწილეობდეს მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში. საგზაო მშენებლობის, კეთილმოწყობისა და საბიუჯეტო კომისიებს არც ერთი საკითხი არ მოუმზადებიათ. სესიაზე საკითხებს ზოგჯერ ნაჩქარევად და მოუმზადებლად განიხილავენ. მაგალითად, 27 მარტს სესიამ განიხილა საკითხი „საკოლმეურნეო ტრანსპორტის, მუშა-საქონლის ფერმების, საკოლმეურნეო საკუთრების დაცვის და დებიტორულ დავალიანებათა ლიკვიდაციის მდგომარეობის შესახებ“ (!). რომ არაფერი ვთქვათ ამ რამდენიმე სერიოზული საკითხის ხელოვნურად შეკოწიწებაზე, საკითხი საერთოდ მოუმზადებელი იყო, სესიაზე არ იყო ნაჩვენები საკოლმეურნეო ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი უბნების ნათელი, სრული სურათი, და დადგენილებაც ზოგადი, ზერელე მიიღეს.

საბჭოს მუშაობის ეს და მთელი რიგი სხვა ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ აღმასკომის თავმჯდომარე ნ. გახარიას, რომელიც ახალგაზრდა მუშაკია, არავინ ეხმარება ხელმძღვანელობის ხელოვნების დაუფლებაში.

არჩევნების შემდეგ სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა გაუმჯობესა ცაიშის სასოფლო საბჭომ. საბჭოს ასამდე დეპუტატი და აქტივისტი წარმატებით მუშაობს მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის მეურნეობის და საბიუჯეტო კომისიების საქმიანობა.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ი. ქირიას და დეპუტატ ძ. ჯღარკავას ენერგიული მუშაობის შედეგად პირველად რაიონში ცაიშელებმა შეასრულეს პირველი და მეორე კვარტალის საფინანსო გეგმები.

ცნობილია ცაიშის ცხელი წყაროების დიდი მნიშვნელობა, მაგრამ როგორც სოფლის ცენტრი, ისე მისი მიდამოები კეთილმოუწყობელია, საავადმყოფო, ბალნეოლოგიური აბანო, საფერშლო პუნქტები, სამკითხველო და ბიბლიოთეკა ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ჯანმრთელობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან უკეთ იმუშაონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. აღმასკომმა უფრო ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელოს კომისიებს, უზრუნველყოს მიღებულ ღონისძიებათა განხორციელება.

არჩევნების შემდეგ ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა მოაწყო სასოფლო საბჭოების, მათი მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების და საბჭოს მდივნების თათბირები და სემინარები. მათ განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობა და ამოცანები, რომლებიც პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს.

ეს სასარგებლო და საჭირო იყო, მით უმეტეს, რომ არჩევნების შემდეგ ადგილობრივ საბჭოებში ახალი ადამიანები მოვიდნენ. სასოფლო საბჭოების მდივნების ნახევარი, ხოლო მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების ორი მესამედი ახლადარჩეულია, მათ არა აქვთ მასებში ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება. ეს გამოცდილება მუშაობაში შეიძინება, მხოლოდ საჭიროა დავეხმაროთ მათ.

ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომი მოვალეა უკეთესად დაეხმაროს და უხელმძღვანელოს სასოფლო საბჭოებს, რათა მათ ნამდვილად შეძლონ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პასუხსაგები ამოცანების წარმატებით შესრულება.

ს. ზოლნია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

მკითხველთა შენიშვნები

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

დღეში ოთხჯერ მოაქვს ფოსტას ჩვენს რედაქციაში დასტა-დასტა წერილები.

რედაქციას წერილებს უგზავნიან საბჭოთა პატრიოტები, ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენლები — მუშები და მეცნიერი მუშაკები, კოლმეურნეები და მასწავლებლები, ინჟინრები და დიასახლისები. ისინი მოგვითხრობენ საბჭოთა ხალხის მჩქეფარე შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრებაზე, ყოველივე იმ ახალსა და კარგზე, რაც ამშვენებს ჩვენს ყოველდღიურობას, კეთილმობილს და მიმზიდველსა ხდის მას, მოგვითხრობენ აგრეთვე იმ დრომოჯმულსა და ავზე, რაც ძველი ცხოვრების ფერწასულ დაღად დასტყობია დღევანდლობას.

— ფოთის ნავსადგურის კოლექტივი წარმატებით მუშაობს, — სწერს რედაქციას ფოთის ნავსადგურის მეორე რაიონის უფროსის მოადგილე ექსპლოატაციის დარგში კ. ჩაგანავა, — ყოველი გემის დამუშავებას (ე. ი. განტვირთვა-დატვირთვას) აქ ჩქაროსნული მეთოდით ახდენენ. გემი „კრასნოდარი“, რომელიც ნორმის მიხედვით 66 საათისა და 30 წუთის განმავლობაში უნდა განეტვირთათ, განტვირთეს 34 საათსა და 15 წუთში; გემი „ჩერნიგოვი“ მორიგ რეისში ვადამდე 12 საათით და 20 წუთით ადრე გაუშვეს, გემი „ომსკი“ — 24 საათით და 15 წუთით ადრე და ა. შ. ჩქაროსნული მეთოდით გემების გადამუშავებაში თავი ისახელეს ა. არჩაიას, შ. გაბუნიას, ი. აბურჯანიას ბრიგადებმა.

— ახმეტის სატყეო მრეწველობის მეურნეობა რესპუბლიკის ხე-ტყის გადასამუშავებელ საწარმოებს საუკეთესო ხარისხის მერქანს აწვდის. მაგრამ ყველამ როდი იცის იმითი შრომითი გმირობის ამბავი, ვინც ამ მერქნის დამზადებასა და გამოტანაზე მუშაობს. გთხოვთ მათი გვარები გამოაცხადოთ, — გვწერს ახმეტიდან ი. ქებროწაშვილი და ჩამოთვლის ტყეში სტახანოვური შრომის ოსტატებს. კარგად მუშაობენ მორის დამამზადებლები ზ. თეგერაშვილი, ლ. ცოცხალაშვილი და ა. მუსაშვილი, მანქანათა მძღოლები ი. უმიკაშვილი, ი. ნათელაური, ს. ძეგველაშვილი და თ. გომელაური, მხერხავები და მეპარკეტეები ვ. ქათამაძე, ს. ქოქოშვილი და ჭ. ჯანაშია.

— რატომ არ არის რეგულარული საავტობუსო მიმოსვლა ედაქალაქის, რომელიმე ცენტრალური მოედნიდან თბილისის „ზღვამდე“?, — კითხულობს დიასახლისი ქ ე თ ე ვ ა ნ დ ო ლ ა შ ვ ი ლ ი. — ჩვენს ქუჩაზე ვიცნობ ბევრ დიასახლისს, რომლებიც სიამოვნებით წავიდოდნენ „ზღვის“ სანახავად, ტრანსპორტი რომ იყოს. ამავე დროს თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორა ავტობუსებს ამუშავებს მთელი რიგი მხოლოდ სანახევროდ დატვირთული მარშრუტებით. კარგი იქნება კვირა დღეს მაინც დაიწესებდნენ რეგულარულ მიმოსვლას ბერიას მოედნიდან „ზღვამდე“.

თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაობას ეხება აგრეთვე პ. გ უ ლ უ ა. — საკურორტო სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით, — წერს იგი, — თბილისსა და მის საგარეუბნო კურორტებს შორის მოეწყობა ავტობუსების გაძლიერებული, რეგულარული მიმოსვლა. მაგრამ ამ მიმოსვლას კარგად მომზადებული ვერ ხვდება კანტორის გარაჟი. გარაჟთან ჯერ მოუწყობელია სამჭედლო, მანქანათა სარეცხი მოედანი, ავტობუსების მეტი წილი ღია ეზოშია. მათ აზიანებს წვიმა, ქარი. მომარაგებული არა აქვთ მანქანების რემონტისათვის საჭირო ნაწილები და სხვა დამხმარე მასალები.

— ამ წერილს იმიტომ გიგზავნით, რომ მთელ ჩვენს სოფელს (ორჯონიკიძის რაიონის სოფელი ისლარი) გული შესტკივა, როცა ხედავს ალმაშფოთებელ საქმეს. გთხოვთ ეს ორიოდე სიტყვით აღნიშნოთ, იქნებ გამოჩნდეს ამ საქმის გულშემატკივარი და ის მაინც გადაარჩინოს დატაცებას და განიავებას, რაც დღეს არის.

ასე სწერს რედაქციას სოფელ ისლარიდან გ ი ო რ გ ი ჭ ი პ ა შ ვ ი ლ ი. 1938 წელს ამ სოფელში დაუწყიათ ჰიდრავლიკური კირის ქარხნის აგება. შენობა გადაუხურავთ, ღუმელი აუგიათ. ბევრი არაფერი აკლდა მშენებლობის დამთავრებას, რომ მუშაობა შეაჩერეს, შენობა მიატოვეს. მას შემდეგ არავინ არ დაინტერესებულა არც ამ ნაგებობით, არც აქ აგებული ღუმელით. შენობა ინგრევა, ღუმელი უკვე უვარგისია, ხოლო პატრონი მაინც არა ჩანს.

იქნებ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო დაინტერესდეს ამ საქმით?

ქუთაისის მექანიზებული აგურის ქარხნის თიხის კარიერის მუშა მ. კ ი კ ვ ი ძ ე გვწერს:

ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის მოეწყო კირის ქარხანა, რომელსაც დირექტორად დაუნიშნეს ვინმე ივანე ნუცუბიძე. იგი სრულიად შეუფერებელია ამ საქმისათვის, პირველი არღვევს შრომის დისციპლინას: 27 და 29 აპრილს, როდესაც ქარხანაში მისი ყოფნა საჭირო იყო, იგი სულაც არ მოსულა. ასევე უმიზეზოდ ხშირად აცდენს ი. ნუცუბიძე სამუშაო დღეებს.

მკითხველთა ამ შენიშვნებს ანგარიში უნდა გაეწიოს და რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს.

თბილისი. ხასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხანაში დაწინაურდა ხარატი ი. ხოსინი, რომელიც მუშაობს სარაბე მოწყობილობათა (სარწყავი სისტემებისათვის) დამზადებაზე.

სურათზე: საამქროს უფროსი ვ. ჯუღელი (მარცხნივ) ხარატ ი. ხოსინისაგან იბარებს კბილანებს.

ფოტო ვ. ჯეირანოვისა.

საქართველოს სტუმრები

თბომავალი ნავსადგურში შემოდის

სუხუმი, 25 მაისი (საქდესი). გაზაფხულის წყნარი საღამოა. ქარი ზანტად მოერეკება ნაპირზე ტალღებს, აშრიალებს პალმებს ზღვის სანაპიროზე.

სუხუმის ნავსადგურის მისადგომს უახლოვდება ელექტრონათურებით გაჩრაღდნებული თბომავალი „უკრაინა“. მორიგი რეისით ოდესიდან მან ნავსადგურში ჩამოიყვანა ასობით დამსვენებელი, ტურისტი, რომლებიც აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროს ჯანმრთელობის კერებში დაისვენებენ და ამკურნალებენ. შეებულების დღეებს ზღვით წარმტაც მგზავრობაში გაატარებენ.

თბომავლით სხვა მგზავრთა შორის ჩამოვიდა სოჭის მახლობლად მდებარე დასასვენებელი სახლის — „გოლოვინკას“ 70 დამსვენებელი. მათ შორის არიან მოსკოველები, ლენინგრადელები, კიეველები, კუიბიშევის ჰესის მშენებლები. ისინი გაჩერდნენ სუხუმის ტურისტთა ბაზაში და ექსკურსიები მოაწყეს ბოტანიკურ ბაღში, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სუხუმის ბიოლოგიური სადგურის მაიმუნთსაშენში, გაეცნენ ქალაქის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

თბომავლებს „პობედას“, „უკრაინას“, „პეტრე დიდს“ რომლებმაც ამ სეზონში საზაფხულო განრიგებით პირველებმა დაიწყეს მიმოსვლა ოდესა-ბათუმის ხაზზე, თვითეული რეისით სუხუმის ნავსადგურში ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან ჩამოჰყავთ სულ უფრო მეტი მშრომელი, რომლებიც თავიანთ შვებულებას ზღვით მგზავრობაში ატარებენ. უკანასკნელ ოც დღეში მათ აქ ჩამოიყვანეს ორი ათასზე მეტი დამსვენებელი და ტურისტი. ახლა სუხუმის ნავსადგური ემზადება ოდესადან პირველი რეისით მომავალი კომფორტაბელური თბომავლის „გრუზიას“ მისაღებად.

ზაფხულის სეზონისათვის დიდი მუშაობა განხორციელდა ნავსადგურის კეთილმოსაწყობად. შეკეთებულია ზღვის ვაგზალი. მგზავრების მომსახურებისათვის თბომავლებს ნავსადგურში ხვდებიან ტაქსები, მრავალადგილიანი ავტობუსები.

ზუგდიდის მუზეუმში

რეევაკუაციისა და ექსპონატებით შევსების შემდეგ გაიხსნა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. აქ ძველი საზოგადოების (ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანის) დამახასიათებელ კოლექციებთან ერთად მნახველის ყურადღებას იპყრობს რევოლუციამდელი ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის, კერძოდ, ყმა გლეხთა დაბეჩავებული ცხოვრებისა და კლასობრივი ბრძოლის ამსახველი ექსპონატები...

მუზეუმში გაიხსნა საბჭოთა პერიოდის ისტორიის განყოფილება. მისი ერთი დარბაზი დათმობილი აქვს თემას — ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში. ორ დიდ ნათელ დარბაზში გამოფენილია საბჭოთა მშენებლობისა და დიდ სამამული ომის პერიოდში რაიონის მშრომელთა თავდადებული შრომის და ბრძოლის მაჩვენებელი ფოტოსურათები, დიაგრამები და სხვა მასალები.

ერთ-ერთი დიაგრამა ასახავს კოლმეურნეთა შრომითს წარმატებებს. 1933 წელს რაიონში ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფეს 323 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, შარშან კი 2.535 კილოგრამი. დიდ სამამულო ომამდე 6 მილიონერი კოლმეურნეობა იყო, შარშან — 24. მრავალი ექსპონატი თვალსაჩინოდ ადასტურებს ომისშემდგომ წლებში რაიონის მრეწველობის ზრდას და ჭალაჭ ზუგდიდის კეთილმოწყობისათვის გაწეულ მუშაობას.

ექსკურსანტები და ადგილობრივი მშრომელები ინტერესით ათვალიერებენ მუზეუმის ახალ ექსპონატებს და იღებენ საჭირო კონსულტაციას. (ჩვენი სპეც. კორ.).

უცხოეთის პრესის გამოხმაურება

„პრავდის“ მოწინავე სტატიის გამო „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“

ინგლისი

ლონდონი, 26 მაისი. (საკდესი). ინგლისის პრესამ დიდი ყურადღება მიაქცია „პრავდის“ მოწინავე სტატიას — „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ სარედაქციო სტატიაში წერდა: „არ უნდა გვქონოდა მოლოდინი, რომ ცნობას ბერმუდესის კუნძულებზე სამი სახელმწიფოს შეხვედრის შესახებ კმაყოფილებით მიიღებდნენ მოსკოვში...

„პრავდა“ ორ მნიშვნელოვან პუნქტში ჩერჩილს მიემხრო. „პრავდა“ მიესალმება წინადადებას უმაღლეს სფეროებში კონფერენციის მოწვევის შესახებ, აგრეთვე წინადადებას პრობლემების ნაწილ-ნაწილ მოწესრიგების შესახებ.

...პესიმისტურადაც რომ მოვეკიდოთ ამ კომენტარებს, მათ მაინც აქვთ ერთგვარი ღირებულება ისეთ კონკრეტულ შეთანხმებათა მისაღწევად, რომლებიც ხელსაყრელი იქნება რუსეთისათვის და იმდენადვე, ან უფრო მეტადაც კი, ხელსაყრელი იქნება დასავლეთისათვის.

„პრავდის“ აზრი გერმანიის საკითხზე გაზეთს მიაჩნია „განცხადების ყველაზე საინტერესო ნაწილად, რომელშიც „ყოველი სიტყვა, როგორც ჩანს, გულმოდგინედ აწონილ-დაწონილია“.

ლონდონი, 26 მაისი. (საკდესი). ლონდონის რადიომ სპეციალური სტატია უძღვნა „პრავდის“ მოწინავეს და განაცხადა: „უწინარეს ყოვლისა საჭიროა დიდი კმაყოფილებით ვაღიაროთ, რომ სამ საბჭოთა მთავრობამ სავსებით სწორად შეაფასა ინგლისის პრემიერ-მინისტრის სიტყვის შემარიგებელი სულისკვეთება და მისი რეალისტური, კონსტრუქციული მიდგომა საერთაშორისო პრობლემებისადმი...

უნდა მივესალმოთ აგრეთვე საბჭოთა მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ ახლა საქმე ურთიერთლაწდვა როდია და რომ ნაცვლად იმისა, რომ აღვნიშნოთ ინგლისსა და საბჭოთა მთავრობას შორის არსებული უთანხმოება, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს ის მომენტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შეთანხმებას. ეს მნიშვნელოვანი და ძვირფასი დასკვნაა“.

მიაჩნია, რა, რომ „საბჭოთა მთავრობა სამართლიანად ანიჭებს დიდ მნიშვნელობას ჩერჩილის წინადადებას დიდ სახელმწიფოთა ხელმძღვანელების ვიწრო თათბირის მოწვევის შესახებ“, და აღნიშნავს რა, რომ ჩერჩილი „ამ გეგმას არ უკავშირებს საბჭოთა კავშირისადმი რამე წინასწარი მოთხოვნის წარდგენას“, ლონდონის რადიო მაინც ცდილობს გაამართლოს სამი სახელმწიფოს კონფერენციის მოწვევა ბერმუდესის კუნძულებზე. „ინგლისში იმედი აქვთ, — ამტკიცებს ლონდონის რადიო, — რომ სამთა შეხვედრა ბერმუდესის კუნძულებზე პირველი ნაბიჯი იქნება ოთხთა თათბირისაკენ, როგორც ეს ჩერჩილმა მოითხოვა“.

გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ მიმომხილველი წერს:

„რაც შეეხება კორეასა და ავსტრიას, „პრავდა“ გარკვეული საფუძვლით ამტკიცებს, რომ შემდგომი ნაბიჯები დასავლეთის სახელმწიფოებმა უნდა გადადგან“.

ეხება რა „პრავდის“ სტატიის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია სამი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის — შეთაურთა მომავალ შეხვედრაზე, მიმომხილველი აღნიშნავს: ამ საკითხზე „პრავდის“ კრიტიკული შენიშვნების მიზანი „შეიძლება იყოს მხოლოდ იმის ცხადყოფა, რომ რუსეთი არ იწონებს თათბირს ბერმუდესის კუნძულებზე, რაც მტკიცედ არის ნათქვამი, აგრეთვე იმისა, რომ თუ თათბირი გაიმართა, მას შეუძლია შეამციროს შეთანხმების მიღწევის შანსი, როცა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ხელმძღვანელები მაინც შეხვდებიან ერთმანეთს“.

გაზეთი „დეილი ჰერალდი“ სარედაქციო სტატიაში წერს: ოთხი სახელმწიფოს ლიდერთა შეხვედრა, „რასაკვირველია, წვრილმანებამდე ვერ მოაწესრიგებს იმ საკითხებს, რომელთა გამო უთანხმოება არსებობს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მაგრამ ამ შეხვედრას შეიძლება მოჰყვეს ატმოსფეროს შეცვლა, რაც შესაძლებელს გახდის იმას, რომ შემდეგში მშვიდობიანად მოწესრიგდეს ეს საკითხები თანდათანობით.

და ეს იმედი უთუოდ ღირსია იმისა, რომ ვცადოთ მისი საფუძვლიანობის გამორკვევის. მრავალი მილიონი უბრალო ადამიანისათვის იმედის დიდი ბიჯია ომამდე, რომ ამ შეხვედრას წარმატება არ მოჰყვეს. მაგრამ მათ უფრო ნაკლებად როდი გაუცრუვდებათ იმედი, ეს შეხვედრა რომ არ მოხდეს. ეჭვი არ არის, რუსეთისა და დასავლეთის სახელმწიფოთა მოდვაწეები შეძლებენ დაეთანხმონ შემდეგ მარტივ ფორმულს: მოდით ამ მომენტში განზე გადავდოთ ყველა მოთხოვნა და თავი შევეკავოთ ერთმანეთისათვის ვერაგობის დაბრალებისაგან. მოდით პირადი კონტაქტის გზით გამოვარკვოთ, არსებობს თუ არა ცივი ომის შეწყვეტის რაიმე შესაძლებლობა. მოდით შევხვდეთ ერთმანეთს!“

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 26 მაისი. (საკდესი). „პრავდის“ მოწინავე სტატიამ „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“ ამერიკული პრესის გაცხოველებული კომენტარები გამოიწვია. გაზეთებმა სტატია მოათავსეს მოლიანად ან ნაწყვეტებად და მიმომხილველთა მრავალ კომენტარს ბეჭდავენ. ბევრი გაზეთი აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სტატიაში მოყვანილ დებულებებს, და აღიარებს საბჭოთა კავშირის მისწრაფებას გადაუჭრელი საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისადმი.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, „დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე საბჭოთა 24 მაისის განცხადება მიიჩნიეს იმ ყურადღების „საინტერესო“ დასტურად, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელები ახლა უთმობენ საკითხს იმისა, რომ საბჭოთა კავშირი მარილა დაინტერესებულია შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელთა თათბირით მაღალ დონეზე. ზოგიერთი ოფიციალური პირის აზრით, ამას მოწმობს აგრეთვე საერთოდ ზომიერი ტონი“.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს:

„დიპლომატიური მიმომხილველები გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატიაზე მიუთითებენ, როგორც იმის დადასტურებაზე, რომ რუსეთი ცდილობს გათიშოს მოკავშირენი“.

სარედაქციო სტატიაში სათაურით „გაზეთი „პრავდა“ ბერმუდესის კუნძულების შესახებ“ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერს: რუსეთის კომპარტიის ორგანომ — გაზეთმა „პრავდამ“ გააკეთა ვრცელი და შუქის მომფენი კომენტარები უკანასკნელი საერთაშორისო ამბების შესახებ, განსაკუთრებით ბერმუდესის კუნძულებზე დიდი სამეულის მომავალი თათბირის შესახებ“.

ამერიკის გაზეთები ცდილობენ წინ წამოწიონის უთანხმოება, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის, და ღუმილით აუარონ გვერდი ჩერჩილის სიტყვის იმ დებულებებს და „პრავდის“ მოსაზრებებს, სადაც ლაპარაკია სადავო საკითხებზე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობისა და საჭიროების შესახებ.

გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ უთანხმოებას გერმანიის საკითხზე, ავსტრიის ხელშეკრულების საკითხზე და კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების საკითხზე. „რუსეთი იმდენად, რამდენადაც ეს გერმანიას ეხება, იალტისა და პოტსდამის პოზიციებზე დგას, — წერს „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“. — ინგლისისა და საფრანგეთისათვის, აგრეთვე შეერთებული შტატებისათვის ასეთი საფუძველი შეუძლებელია“.

ამერიკის გაზეთები დაეინებით იმეორებენ თეზისს სამი სახელმწიფოს, ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის „ერთიანობის“ საჭიროების შესახებ. მოსაზრებანი ამის შესახებ არავითარ ეჭვს არ იწვევენ, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება სამი სახელმწიფოს განზრახულ თათბირზე ეგრეთწოდებული „წინასწარი პირობების“ გამომუშავებას საბჭოთა კავშირისათვის წარსადგენად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

პეკინი, 26 მაისი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა ცენტრალურმა და პროვინციულმა გაზეთმა გამოაქვეყნა სრული ტექსტი „პრავდის“ მოწინავისა „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“. სტატიის ტექსტი გადასცეს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა და ყველა რადიოსადგურმა.

პოლონეთი

ვარშავა, 26 მაისი. (საკდესი). პოლონური გაზეთები ფართო კომენტარს უკეთებენ „პრავდის“ მოწინავე სტატიას „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“.

გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ მოწინავე სტატიაში „ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის“ წერს:

„მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და პოლონელი ხალხი დიდი მადლიერებითა და სიმპათიით მიესალმნენ განცხადებებს, რომლებიც ამას წინათ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გაკეთეს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი მზად არის ყველა სადავო თუ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემა გადაიჭრას დაინტერესებულ ქვეყნებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ეს განცხადებანი, რომლებიც ემყარებიან სტალინის დებულებას, რომ შესაძლებელია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად სახელმწიფო სისტემებისა განსხვავებისა, წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელი, თანმიმდევრული მშვიდობიანი პოლიტიკის გამოხატულებას.

...მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ინტერესით შეხვდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის 16 აპრილის გამოსვლას. ამ გამოსვლის ზოგიერთი ფორმულა შეფასებული იყო როგორც მშვიდობისმოყვარული ეესტი. მაგრამ ამ სამშვიდობო დეკლარაციებისაგან აღარაფერი დარჩა უფრო გვიანდელ, 20 მაისის გამოსვლაში, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კონკრეტული მოქმედება მკვეთრად ეწინააღმდეგება ამ დეკლარაციებს.

ასეთ მდგომარეობაში თემთა პალატაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის გამოსვლამ, რომელმაც აღძრა მთელი რიგი ძიროთადი საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე კამათმა მისი გამოსვლის გამო დიდი ინტერესი გამოიწვია.

მთელი რიგი თეზისები, რომლებსაც ჩერჩილის გამოსვლა შეიცავს, აღნიშნავს გაზეთი, ინგლისელი ხალხის მშვიდობიან მისწრაფებას ასახავენ. ცხადია, რომ ამ თეზისებს მადლობით შეხვდნენ მშვიდობისმოყვარე ადამიანები. აგრეთვე ცხადია, რომ ამ თეზისებს თავს დაესხნენ გარკვეული წრეები, უმთავრესად ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

გაზეთი აღნიშნავს გერმანიის საკითხში ჩერჩილის მიერ დაკავებული პოზიციის მანკიერებას და აგრეთვე გამოთქვამს გაკვირვებას, რომ თავის სიტყვაში ჩერჩილს დიდი ჩინელი ხალხი არც კი უხსენებია.

ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს, წერს შემდეგ „ტრიბუნა ლიუდუ“, სურს, რომ ჩერჩილის გამოსვლის კონსტრუქციულ თეზისებს მოჰყვეს ბრიტანეთის მთავრობის კონკრეტული მოქმედება.

გულგარეთი

სოფია, 27 მაისი. (საკდესი). ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა „პრავდის“ 24 მაისის მოწინავე სტატია „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“.

გაზეთ „პრავდის“ სტატიაში, წერს გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“, ჩვენი ხალხი კვლავ ხედავს საბჭოთა ხალხის მკაფიოდ გამოხატულ ურყევ მისწრაფებას მშვიდობისა და ყველა ხალხს შორის თანამშრომლობისადმი. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა ჩვენს ხალხს მიაჩნია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების, ჩვენი ეროვნული თავისუფლებისა და ღამოუკიდებლობის შენარჩუნების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის გამარჯვების საიმედო გარანტად.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 26 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა გამოაქვეყნა გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“.

გაზეთი „პრაცე“ სტატიაში სათაურით „ყველა ხალხის ინტერესებისათვის“ წერს:

„პრავდის“ მოწინავე სტატიას სიცხადე შეაქვს აბნეულ საერთაშორისო ვითარებაში და ფრიად მკაფიოდ განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის პოზიციას უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში.

მშვიდობის გზა როდია საერთაშორისო პოლიტიკური ინტრიგების გზა, როცა სამი სახელმწიფო შეთქმულებას აწყობს მეოთხე სახელმწიფოს წინააღმდეგ — ასეთი გზა იწვევს მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებას. მშვიდობის გზა — ეს არის მოქმედების გზა და არა მშვიდობის შესახებ ფრაზების გზა, რომლებითაც ნიღბავენ საომარ მოქმედებას. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მისი პოლიტიკა სავსებით წესესაბამება მის მოქმედებას. საჭიროა, რომ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა თავიანთ სიტყვებს მშვიდობის შესახებ მიუმატონ ნამდვილი მშვიდობიანი საქმეები.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 26 მაისი. (საკდესი). ბუდაპეშტის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა „პრავდის“ მოწინავე სტატია „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“, გაზეთი „საბად ნეპი“, კომენტარს უკეთებს რა ამ სტატიას, ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის მზადყოფნას — მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვეტოს სადავო საკითხები, მის ურყევ მისწრაფებას მშვიდობის განმტკიცებისადმი.

ეხება რა „პრავდის“ მოსაზრებებს ჩერჩილის გამოსვლის შესახებ, გაზეთი აღნიშნავს: მსოფლიოს ხალხებმა იციან, რომ დასავლეთ ევროპის უშიშროებასთან საბჭოთა კავშირის უშიშროების შეთავსების პრობლემა შეიძლება გადაიჭრას, რომ საბჭოთა კავშირის ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის დროს თავისი უშიშროებისათვის ნიშნავდა აგრეთვე ბრძოლას დასავლეთ ევროპის ქვეყნების თავისუფლებისა და უშიშროებისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ბრძოლა მშვიდობისათვის წარმოებს აგრეთვე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხი, წერს „საბად ნეპი“, არის კორეაში დაზავება და ომის შეწყვეტა. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ინიციატივის მეოხებით კვლავ დაიწყო დაზავების შესახებ მოლაპარაკება, რომელიც შარშან შეწყვეტა ამერიკის მხარემ. მთელი მსოფლიოს ხალხები, მათ შორის უნგრელი ხალხიც, სულით და გულით უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლას კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისით, გაანგარძოს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიის საკითხის გადაჭრას. მოჰყავს რა ჩერჩილის გამოსვლა ამ საკითხზე, გაზეთი აღნიშნავს, რომ „პრავდის“ მოწინავე სტატიამ ამ მხრივ გამოხატა მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრობის და მასთან უნგრელი ხალხის ღრმა გრძნობები.

რუმინეთი

ბუქარესტი, 26 მაისი. (საკდესი). დღეს ბუქარესტის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“.

ეს სტატია გადასცა აგრეთვე რუმინეთის რადიომ.

ალბანეთი

ტირანა, 26 მაისი. (საკდესი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, დღეს ალბანეთის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა გაზეთ „პრავდის“ სტატია „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“ და თავისი მოწინავე სტატია უძღვნა ამ საკითხს.

გაზეთი „ზერი ი პოპულიტი“ წერს, რომ „პრავდის“ სტატიამ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესი გამოიწვია. იგი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლიან და თანმიმდევრულ პოლიტიკას. ალბანელ ხალხს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა მიაჩნია იმის გარანტიად, რომ განხორციელდება მისი მისწრაფება მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისადმი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

ულან-ბატორი, 26 მაისი. (საკდესი). გაზეთმა „უნენმა“ გამოაქვეყნა სრული ტექსტი გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატიისა „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“. ეგი გადასცა აგრეთვე ულან-ბატორის რადიომ. სტატიამ გაცხოველებული განხილვა გამოიწვია. მონღოლი ხალხი სავსებით ეთანხმება საბჭოთა კავშირის პოზიციას საერთაშორისო საკითხებში, რომელიც დახასიათებულია „პრავდის“ სტატიაში.

გერმანია

ბერლინი, 26 მაისი. (საკდესი). 25 და 26 მაისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა რადიოსადგურმა რამდენჯერმე გადასცა ტექსტი „პრავდის“ მოწინავე სტატიისა „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“.

დასავლეთ გერმანიის რადიოსადგური რიასი დასჯერდა იმას, რომ გამოაქვეყნა მოკლე ცნობა „პრავდის“ მოწინავე სტატიის შესახებ.

გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აღნიშნავს, რომ „პრავდის“ სტატია „დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეებს კარგ საქმიან საფუძველს“ სთავაზობს.

საფრანგეთი

პარიზი, 26 მაისი. (საკდესი). პარიზის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატიას „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისათვის“. გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა ამ სტატიის სრული ტექსტი, გადმოცემული უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების მიერ. ბურჟუაზიულმა გაზეთებმა მოათავსეს „პრავდის“ სტატიის ვრცელი ამონაწერები.

ყველა გაზეთი სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პრავდა“ ილაშქრებს დასავლეთის სამი სახელმწიფოს იმ იდეის წინააღმდეგ, რომ წამოაყენონ ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის ერთობლივი წინასწარი პირობები.

„დეპეშ დიუ მიდი“ წერს: ძირითადად „პრავდის“ მტკიცება არ არის საფუძველს მოკლებული, როცა იგი აღნიშნავს, რომ ამ ბერმუდესის კონფერენციის მოწვევის ერთადერთი მიზანია დასავლეთის ბლოკის განმტკიცება. ხოლო ამ ბლოკის განმტკიცების ყოველგვარი ცდა, რუსული გაზეთის აზრით, წარმოადგენს დასავლეთის დემოკრატიების მანევრს, მიმართულს კრემლის წინააღმდეგ.

გაზეთი „მონდი“ წერს:

„გამოაქვეყნა რა 24 მაისს „პრავდაში“ ვრცელი მოწინავე სტატია, საბჭოთა მთავრობამ კლასიკურად დაგმო სამი სახელმწიფოს მომავალი თათბირი ბერმუდესის კუნძულებზე.

... „პრავდის“ მოწინავეში არსად არ არის ნათქვამი, რომ სსრ კავშირი მხარს უჭერს თუ წინააღმდეგია ოთხი სახელმწიფოს თათბირისა, მაგრამ ეს მოწინავე უდავოდ გვიჩვენებს, რომ მოსკოვი არასოდეს არ დათანხმდება თათბირზე, რომელიც წინასწარ განპირობებული იქნება დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნებით. და

ჯოლიეტის გამოსვლა წინასაარჩევნო მიტინგზე ვერჩელში

რომი, 27 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „უნიტა“ იუწყება, პალმირო ტოლიატი გამოვიდა გუშინ წინასაარჩევნო მიტინგზე ვერჩელში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი არჩევნები პარტიების ჩვეულებრივი საარჩევნო შეჯიბრება როდია, რადგან ამ არჩევნებზე დამოკიდებულია გადაწყვეტა მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც ყველა იტალიელს ეხება. დღეს საფრთხე მოელის არა რომელიმე კანონპროექტის ბედს, არამედ თვით კონსტიტუციის ბედს, რადგან ქრისტიანმა დემოკრატებმა აშკარად განაცხადეს, რომ ისინი აპირებენ კონსტიტუციის შეცვლას; საფრთხე მოელის მშვიდობასა და შინაგან თანხმობას, საფრთხეშია არა მარტო მშრომელთა ინტერესები, არამედ წვრილ და საშუალო მრეწველთა, წვრილ და საშუალო სოფლის მეურნეთა, ხელოსანთა, თავისუფალი პროფესიის პირთა და ვაჭართა დიდი კატეგორიის ინტერესებიც.

ტოლიატიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იტალიელ მშრომელთა წინსვლას ვერ შეაჩერებს ვერც დაშინება, ვერც ძალადობა, ვერც მოტყუება და ყალთაბანდობა.

საბჭოთა ოპერა „ომი და მშვიდობა“ ფლორენციის საოპერო თეატრის სცენაზე

რომი, 27 მაისი. (საკდესი). გუშინ ფლორენციაში გაიმართა ოპერა „ომი და მშვიდობის“ პრემიერა. ეს ოპერა, რომელიც დაწერა სერგი პროკოფიევმა ტოლსტოის რომანის მიხედვით, შეტანილია ფლორენციის „მუსიკალური მაისის“ პროგრამაში. „მუსიკალური მაისი“ აქ ყოველწლიურად იმართება მაისის თვეში მთელი მსოფლიოს გამოჩენილი დირიჟორებისა და მომღერლების მონაწილეობით.

პროკოფიევის ოპერას უდიდესი წარმატება ჰქონდა საზოგადოებაში. ყველაზე დიდმა გაზეთებმა საკუთარი მუსიკალური კრიტიკოსები გაგზავნეს ფლორენციაში, რათა დაეწერათ რეცენზიები საბჭოთა კომპოზიტორის ნაწარმოების შესახებ. გაზეთი „უნიტა“ წერს, რომ ოპერა „ომი და მშვიდობის“ დადგმა იტალიის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა მიმდინარე წელს. ოპერას უდიდესი და უდავო წარმატება ჰქონდა“.

მძღავრი, ერთიანი, პროგრესული ფრონტისათვის

ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გამჯეობის საბჭოს რეზოლუცია

ჰელსინკი, 28 მაისი. (საკდესი). 24-25 მაისს ჰელსინკში გაიმართა ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გამგეობის საბჭოს სხდომა. ფინეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის პირველმა ვიცე-თავმჯდომარემ ეინო კილპიმ.

ილაპარაკა რა ახლანდელ ეკონომიურ სიძნელეებზე, რომლებსაც ფინეთი განიცდის, კილპიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სიძნელეთა აღმოსაფხვრელად ასახელებენ ორ გზას: დევალვაციას და წარმოების ხარჯების შემცირებას.

შეეხო რა უკანასკნელ მოთხოვნას, კილპიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოების ხარჯების შემცირების გეგმებით ფარავენ ხელფასის შემცირების ცდას. კილპიმ გაანალიზა მსხვილი კაპიტალისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ ხელფასი თითქოს ძირითადი წილია ხის დამუშავებელი მრეწველობის წარმოების ხარჯებში. მან აღნიშნა, რომ მუშათა ხელფასის 15 პროცენტით შემცირება, რასაც კაპიტალისტები მოითხოვენ, ცელულოზის ღირებულების მხოლოდ 2 პროცენტი იქნება.

დასასრულ კილპი შეეხო მიმდინარე წლის შემოდგომაზე კომუნალური არჩევნებისათვის, აგრეთვე მომავალი წლის ზაფხულში სეიმის არჩევნებისათვის მზადებას.

ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის სეიმის ფრაქციის თავმჯდომარემ ჰერტა კუუსინენმა თავისი სიტყვა მიუძღვნა ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის ბრძოლას მშვიდობისათვის.

კუუსინენმა აღნიშნა, რომ ფინეთში ომისათვის ემზადებიან: სამხედრო ბიუჯეტი 1950 წლის 5,8 მილიარდი მარკიდან გადიდდა 11,5 მილიარდ მარკამდე 1952 წელს.

კუუსინენმა მოუწოდა მსმენელთ გააძლიერონ მშვიდობისათვის ბრძოლა, რაც დაუკავშირონ ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის უოველდღიურ საქმიანობას.

ფინელი ხალხის დემოკრატიული კავშირის გამგეობის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„ეკონომიკის სტაბილიზაცია, რასაც მთავრობის პარტიები დაგეგმირდნენ, აღმოჩნდა მხოლოდ შორმა, რომელიც ფარავს ხალხის მასების ცხოვრების დონის დაქვეითებას. შედეგი აშკარაა: ქარხნები იხურება, ხელფასი კლებულობს, მცირდება უმუშევართათვის შემოღებული სპეციალური სამუშაოებიც კი, თუმცა უმუშევრობა არსებობს. გლეხობის მდგომარეობა სულ უფრო მერყევი ხდება. მიწის ნაკლებობა მეტად დიდია, დაიწყო გასახლება. ინტელიგენციის არსებობა მტკიცე არ არის, და არის იმის შიში, რომ ფინური კულტურა შეიძლება დაიღუპოს საზღვარგარეთიდან შემოტანილი დახავსებული „კულტურის“ ზემოქმედებით. რეაქცია სულ უფრო მეტად ცდილობს წინ წაიწიოს. გაძლიერდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე, რომელნიც განუწყვეტლივ იარაღდებიან და სამხედრო კონფლიქტებს აჩაღებენ. სტაბილიზაციის შესახებ სიცრუის ნაცვლად ახლა წამოყენებულია ახალი ლოზუნგი: „წარმოების ხარჯების შემცირება“. ეს ლოზუნგი მოასწავებს ახლანდელი მცდარი და დამღუპველი მიმართულების გაძლიერებას.

ჩვენი ხალხის პერსპექტივები შავბნელი იქნებოდა, მშრომელი მასები რომ მხნედ არ იყვნენ და თავიანთ უფლებებს არ იცავდნენ და ამით არ იცავდნენ ჩვენს ქვეყანას იმისაგან, რომ იგი რეაქციულ წამოწყებათა ასპარეზად გადაიქცეს.

გემსაშენ „კრეიტონ-ვულკანისა“ და მრავალი სხვა საწარმოს მუშები დაიარაზმნენ იმ დამღუპველი გეგმების წინააღმდეგ გმირული ბრძოლისათვის, რომლებიც დასახული აქვს მსხვილ კაპიტალს, და ბევრგან შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს. ერთობლივ საპირველმაისო დღესასწაულებზე, რომლებიც მთელ ფინეთში მოეწყო, მუშებმა ცხადყვეს ერთიანი დემოკრატიული ფრონტის ზრდა. მხოლოდ მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის მებრძოლი კავშირი შეუქმნის ჯანსაღ, მტკიცე დემოკრატიულ და მშვიდობიან საფუძველს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებას.

სამართლიანობა და კეთილდღეობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მძლავრი ერთიანი პროგრესული ფრონტის ძალებით. რაც უფრო მეტიდროდ გაერთიანდებიან პროგრესული ძალები ჯერ კიდევ კომუნალურ არჩევნებამდე, მით უფრო გაუძნელდება მსხვილ კაპიტალს ზეგავლენა მოახდინოს კომუნალურ თემებსა და მშრომელებზე. კომუნალურ არჩევნებში ლაპარაკი იქნება კომუნალური და საერთასახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმართვის შესახებ. მშრომელი მასების ერთიანი ფრონტის გამარჯვება გზას გადაუღობავს იმათ, ვინც ცდილობს აშკარა რეაქციისა და ავანტიურათა პოლიტიკის აღდგენას.

დაე გაძლიერდეს და განმტკიცდეს მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის კავშირი მათი სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, დემოკრატიის განსახორციელებლად, ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო თანამშრომლობის განსამტკიცებლად, ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობისა და მშვიდობის დასაცავად“.

გამგეობის საბჭომ მოისმინა აგრეთვე ირიე ენეს მოხსენება კომუნალური არჩევნებისათვის მზადების შესახებ და მთელი რიგი სხვა მოხსენებანი.

ინგლისის ახალგაზრდობა იბრძვის

დიდი ბრიტანეთის კუნძულები ფაქტიურად ოკუპირებულია ამერიკელების მიერ. აქ ამერიკის საოკუპაციო არმია ამჟამად 50 ათასზე მეტ კაცს ითვლის. იანკები დაუსჯელად თარეშობენ ინგლისის ქალაქებსა და სოფლებში. არ არის ისეთი დანაშაული, რომელსაც ისინი აქ არ სჩადიოდნენ. მაგრამ ინგლისის სასამართლოს უფლება არა აქვს გაასამართლოს ამერიკელი ჯარისკაცები. ინგლისელი ახალგაზრდობა აღშფოთებულია ოკუპანტთა ქედმაღლობით, აღვირახსნილობით, ბარბაროსობით. მოწოდება „იანკებო, წაეთრიეთ აქედან!“ გადაიქცა მშვიდობისათვის ბრძოლის ლოზუნგად.

იზრდება ინგლისის ახალგაზრდობის მოთხოვნა — შეწყდეს ომი კორეასა და მალაიაში. ახალგაზრდობის მისწრაფება მშვიდობისადმი ამავე დროს წარმოადგენს მისწრაფებას თავისი ქვეყნის ღირსებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისადმი.

ინგლისში სულ უფრო ხშირად იმართება ომის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები, რომლებშიც ახალგაზრდობასთან ერთად მონაწილეობას იღებენ მოსახლეობის ფართო ფენები.

პოლიცია, რომელიც ინგლისის მთავრობის მითითებით მოქმედებს, თავს ესხმის დემონსტრანტებს, ბარბაროსულად უსწორდება მათ, მაგრამ მაინც არ ძალუძს ჩაახშოს ხალხის მშვიდობისმოყვარული მისწრაფებანი.

სურათზე: პოლიციელები მხეცურად უსწორდებიან დემონსტრანტებს ლონდონში.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 27 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადაცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები საარტილერიო ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. განსაკუთრებული ცვლილება ფრონტებზე არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ერთი და დაზიანეს სამი თვითმფრინავი.

ნერუს გამოსვლა დელში გამართულ მიტინგზე

დელი, 27 მაისი. (საკდესი). გამოვიდა რა გუშინ დელში გამართულ მიტინგზე, ნერუმ გამოთქვა იმედი, რომ კორეის საკითხი მალე გადაიჭრება. „კორეაში ომის დამთავრება, — თქვა მან, — შეანელებს საერთაშორისო ვითარებას და მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანს შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად ამოისუნთქოს. ამ კონფლიქტის დამთავრება შექმნის აგრეთვე ახალ ატმოსფეროს და შესაძლებლობას მოგვცემს დამშვიდებულ ვითარებაში განვიხილოთ ბევრი საერთაშორისო პრობლემა“.

ნერუმ დაგმო ეგრეთწოდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სიმაცრე კორეაში, რომლებმაც კორეელ ხალხს „საშინელი ტანჯვა“ მიაყენეს.

საფრანგეთის ჯარებმა მოახდინეს გამაგრებული პუნქტის იენ-ვის ევაკუაცია

ლონდონი, 27 მაისი. (საკდესი). რეიტერის საგენტოს ხანოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 27 მაისს საფრანგეთის კავშირის ჯარებმა მოახდინეს გამაგრებული პუნქტის იენ-ვის ევაკუაცია. ეს პუნქტი მდებარეობს 30 მილზე ხანოის სამხრეთით.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სამხედრო წრეებში იენ-ვის ევაკუაციას განიხილავენ, როგორც საფრანგეთის ჯარების დიდ მარცხს, იენ-ვი მიაჩნიათ „დელტარ დე ტასინიის კედლის“ ერთ-ერთ საკვანძო პუნქტად. ეს კედელი განვენებულმა მარშალმა დე ლატრ დე ტასინიმ შექმნა ხანოისა და წითელი მდინარის დელტის გარშემო.

ფრანგ ხელისუფალთა თვითნებობა ფუნისში

პარიზი, 27 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ტუნისის სანაპიროზე მოხდა ახალი მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება. სოფელ დეკალტაში დაიკავეს 900 ტუნისელი — 30 მთგანი დაპატიმრეს.

ტუნისში მცხოვრები ფრანგების ჯგუფმა (მასწავლებლები, მოსამსახურეები, ვაჭრები და სხვები) ხელი მოაწერა მიმართვას, რომლითაც მოითხოვს „გაათავისუფლონ ყველა გადასახლებული ტუნისელი და აღდგინონ სამოქალაქო თავისუფლებანი“.

„ლუმანიტე“ მოუწოდებს ფრანგ ხალხს მტკიცედ გამოვიდეს ტუნისელი პატრიოტების დასაცავად, რომლებსაც სდევნიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობისათვის და, კერძოდ, დაიცვას ქალაქ მოკნინის მცხოვრები რვა ტუნისელი მოქალაქე, რომელთაც ამას წინათ საფრანგეთის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა.

ქვანახშირის შახტის აფეთქება ირანში

პარიზი, 27 მაისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტის მიერ თეირანიდან გადმოცემული ცნობით, გუშინ თეირანის ჩრდილოეთით მდებარე ქვანახშირის ერთ-ერთ შახტში მოხდა აფეთქება, რის შედეგადაც მოკლულ იქნა სამი კაცი და დაშავდა 20 კაცი.

ევროპის VIII პირველობა ქალათბურთში

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღითიდღე იზრდება ინტერესი ევროპის პირველობის გათამაშებისადმი. სტადიონი სავსეა მაყურებლებით. შეხვედრათა უმრავლესობა ხასიათდება დაძაბული ბრძოლით. წინასწარმა შეჯიბრებამ ცხადყო პირველობისათვის მებრძოლ სპორტსმენთა კოლექტივების საუკეთესო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. კარგ სასპორტო ფორმაში არიან საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ეგვიპტისა და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები.

27 მაისს გაიმართა ქვეჯგუფების უკანასკნელი კალენდარული შეხვედრები. გამოვლინებულია პირველი რვა და დანარჩენი ადგილებისათვის მებრძოლი გუნდები, რომლებიც გაითამაშებენ ფინალს.

27 მაისის შეხვედრებიდან მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა ბულგარეთისა და იუგოსლავიის გუნდების შეჯიბრება. უპირატესობა ხელიდანხელში გადადიოდა. თამაშის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ანგარიში იყო 25 : 25. ბულგარელმა სპორტსმენებმა უკანასკნელი წამები ოსტატურად გამოიყენეს, გადამწყვეტი ბურთი ჩააგდეს მოწინააღმდეგის კალათში და მოიგეს შეჯიბრება ანგარიშით 27 : 25.

ამავე დღეს ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და ეგვიპტის გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ეგვიპტელ კალათბურთელთა მორიგი გამარჯვებით ანგარიშით 74 : 58.

ამრიგად, ოთხი დღის ასპარეზობის შემდეგ შეჯიბრება ქვეჯგუფებში დამთავრდა.

შეგროვებული ქულების მიხედვით პირველ ქვეჯგუფში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: პირველი ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა, მეორე — იტალიელმა სპორტსმენებმა, მესამე — რუმინეთის გუნდმა, მეოთხე — შვეიცარიის კალათბურთელებმა.

მეორე ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა ეგვიპტის გუნდი, მეორეზე — საფრანგეთის კალათბურთელები, მესამეზე — გერმანიის გუნდი, მეოთხეზე — შვეიცის სპორტსმენები.

საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც მონაწილეობდა მესამე ქვეჯგუფში, სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ უნგრეთის კალათბურთელები, მესამეზე — ბელგიის გუნდი, მეოთხეზე — დანიის სპორტსმენები.

მეოთხე ქვეჯგუფში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 5 გუნდი. შეგროვებული ქულებისა და ბურთების შეფარდებით ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: პირველი ადგილი დაიკავა ისრაელის გუნდმა, მეორე — იუგოსლავიის კალათბურთელებმა, მესამე — ბულგარეთის გუნდმა, მეოთხე — ფინეთის სპორტსმენებმა, მეხუთე — ლიბანის გუნდმა.

ამრიგად, 1-8 ადგილებისათვის მებრძოლთა ფინალში მოხვდნენ: ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ეგვიპტის, საფრანგეთის, ისრაელისა და იუგოსლავიის გუნდები.

დანარჩენი გუნდები გაითამაშებენ ფინალს 9-17 ადგილების მოსაპოვებლად.

გუშინ დაიწყო ფინალური შეხვედრები.

ნ. გუგუშვილი.

საქართველოს XIV პირველობა ჭადრაკში

დაიწყო საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეორე ნახევარი.

ტურნირის ლიდერმა ოსტატობის კანდიდატმა ა. ბუსლაევმა თავიდანვე უკეთესი პოზიცია მიიღო პარტიაში ა. გამოკელის წინააღმდეგ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვერ გამონახა თამაშის გაგრძელების ზუსტი გეგმა და იძულებული გახდა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ჰ. არნშტეინისა და ა. ბლაგიძის, ე. მიქაელიანისა და ნ. სოროკინის პარტიები.

ყურადღებას იპყრობდა ოსტატობის კანდიდატის ვ. ქარსლაძისა და მისი მოწაფის ი. ჩიქოვანის პარტია, რომელიც დამთავრდა ი. ჩიქოვანის გამარჯვებით. ოსტატობის კანდიდატმა თ. გორგაძემ მორიგი გამარჯვება მოიპოვა. მან მოუგო ნ. ბახტაძეს.

ათი ტურის შემდეგ წინ არის ა. ბუსლაევი, რომელსაც აქვს 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია. ოსტატობის კანდიდატს ა. ბლაგიძეს ცხრა პარტიიდან აქვს 6 ქულა.

ა. ფალავანდიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში

ჩვენი კორესპონდენტებისგან

სურათზე: ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დიპლომანტები მეცადინეობენ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

შეხვედრა მეთერთმეტეკლასელებთან

ბათუმი. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა გამართა ბათუმის საშუალო სკოლების მეთერთმეტეკლასელ მოსწავლეთა შეხვედრა პროფესორ-მასწავლებლებთან.

მოხსენებით თემაზე „როგორ ავირჩიოთ პროფესია“ გამოვიდა ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგე დოცენტი ვ. ჭანტურია. სიტყვები წარმოთქვეს ლექტორებმა ვ. ქემხაძემ, ა. ბეგიაშვილმა, ს. ყალიჩავამ და დ. ჭანტურიშვილმა, აგრეთვე ინსტიტუტის ფრიადოსანმა სტუდენტებმა — სტალინურმა სტიპენდიატმა გ. ღლონტმა, ნ. ხუციშვილმა და გ. კობეშავიძემ, მეთერთმეტეკლასელებმა ი. ვადაჭკორიამ და ა. ელეფტერიდიმ.

რამდენიმე სტრიქონით

○ **კავშირგაბმულობის ზუგდიდის** რაიკანტორას მიემატა ახალი ოთახები, გაფართოვდა საანგარიშო დარბაზი, საფოსტო გზავნილებათა დახარისხებისა და ექსპედიციის განყოფილება.

○ **სამტრედიის წიწილების „ფაბრიკის“** — საინკუბატორო სადგურის კოლექტივმა 5 მაისისათვის გამოიყვანა და სამტრედიის, ვანის, აბაშისა და წულუკიძის რაიონების კოლმეურნეობებს მიაწოდა 41.000 წიწილა. წელს სადგურმა იკისრა გამოიყვანოს 187.000 წიწილა.

○ **გურჯაანის რაიონში** სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის დასახმარებლად მოეწყო შაბათობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

○ **ქობულეთის რაიონის** აჭყვისთავის რვაწლიანმა სკოლამ მოაწყო ექსკურსია „ელიას ციხის“ გასაცნობად. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 31 მოსწავლემ, რომლებსაც ხელმძღვანელობდა მასწავლებელი მ. ჟორდანია. იგი მოსწავლეებს ესაუბრა თემაზე — საქართველოს ძველი ციხეები და მათი მნიშვნელობა.

ახალი კინოჟურნალები

საქართველოს ლენინის ორდენსანი კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ ქრონიკის სექციამ ამ დღეებში გამოუშვა კინოჟურნალები „საბჭოთა საქართველო“ № 14 და № 15. „საბჭოთა საქართველოს“ № 14-ში (რეჟისორი შ. ჩაგუნავა) ნაჩვენებია თბილისის ერთ-ერთი დიდი საწარმო — ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა, საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა, მეტალურგთა ტექნიკუმის ახალი შენობა და სხვ.

„საბჭოთა საქართველო“ № 15 (მონტაჟის ავტორი ოპერატორი გ. ასათიანი) სპორტული ჟურნალია. იგი ასახავს ბაკოში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოწინავე მძლეოსნების ასპარეზობას, თბილისის სახელმწიფო ცირკში გამართულ შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე თბილისის „დინამოს“ და ხარკოვის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრას.

რკინიგზის ვაგზლების კეთილმოწყობა

განსაკუთრებული გაცხოველებაა ზაფხულობით ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ათასობით მშრომელი მოეშურება კავკასიისა და კერძოდ საქართველოს განთქმული კურორტებისაკენ.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახური მგზავრთა საზაფხულო გადაყვანისათვის მზადებას ჯერ კიდევ იანვრიდან შეუდგა. კაპიტალურად შეკეთდა რკინიგზის 36 ვაგზალი, მათ შორის საკურორტო ვაგზლები — ახალი ათონი, გუდაუთა, სუხუმი, ბათუმი, ჩაქვი, ქობულეთი. მიმდინარეობს კიდევ 32 ვაგზლის კაპიტალურად შეკეთება. მიმდინარე რემონტი გაუკეთდა რკინიგზის პავილიონებს გაგრაში, ბარათაშვილის სახელობისას სუხუმში, აგრეთვე სადგურებსა და ბაქნებს ნარინჯოვანს, აბაშას, ნატანებს, ახალდაბას, ცემს, დიდუბეს, ფოილოს.

ბორჯომ-ბაღში რეკონსტრუირებულ იქნა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინიგზის ვაგზლის ლამაზი, კომფორტაბელური შენობა. აქ არის მოსაცდელი დარბაზები, ბავშვთა და დედათა ოთახი, ქალთა და მამაკაცთა საპარიკმახეროები, კეთილმოწყობილი საბუარეულო-ბუფეტი, ღია ვერანდები. ახალ ათონში მეტად ლამაზად მოეწყო ბაქანი „აგარაკი“.

მიმდინარეობს თბილისის ვაგზლისა და განთიადის ვაგზლის შენობების რეკონსტრუქცია.

დიდი ყურადღება ექცევა ვაგზლების ტერიტორიების გამწვანებასა და კეთილმოწყობას. წელს დაირგვება 262.500 ძირი ხე და ყვავილი. ეწყობა ბაღები, ყვავილნარები, ხეივნები. მოეწყო გაზეთების 44 ახალი ვიტრინა, დაიდგა სკამები.

ბევრი ვაგზლის სატრანზიტო და საბავშვო ოთახებში დადგმულია ახალი რბილი ავეჯი, საწოლები.

ახალი საფრინველეები

ვანის რაიონის კოლმეურნეობები დიდ ყურადღებას აქცევენ მეფრინველეობის განვითარებას. წელს რაიონის 14 კოლმეურნეობაში მოეწყობა ახალი საფრინველეები. სამტრედიის საერაიონთაშორისო საინკუბაციო სადგურიდან შემოყვანილი იქნება 34 ათასი წიწილა.

ლექცია

კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში 29 მაისს, საღამოს 8 საათზე შეედგება ლექცია თემაზე „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“. ლექციას წაიკითხავს ამხ. კ. სულეიმანი.

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის და დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურათა ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1953 წ. 10 ივნისს, დღის 12 საათზე საატო დარბაზში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დოცენტი **თინათინ ქაუჩიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ბერძნული წარწერები საქართველოში“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **კ. კეკელიძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **აკ. შანიძე,** ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **პ. ბერაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

29 მაისს	ჯ. ვერდი — **ტრავიატა** (ე. შუმსკაიას მონაწილეობით).
30 მაისს	ლ. დელიბი — **ლაკმე**

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქჩაის“ ჩხოროწყუს ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიური ტექნიკუმი ამზადებს საშუალო განათლების სპეციალისტებს ჩაის ფაბრიკებისათვის — ტექნიკოს-ტექნოლოგის წოდებით.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14 წლიდან 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლის სრული კურსი ან ჩაბარებული აქვთ ექსტერნად 8-წლიანი სკოლის პროგრამის ფარგლებში. 9, 10 და 11 კლასდამთავრებული მოსწავლეები მიიღებიან I კურსზე საერთო წესით, ასევე სხვა სპეციალობის ტექნიკუმების კურსდამთავრებულნი მიიღებიან სამი წლის საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ საერთო წესით. 1953-54 სასწავლო წლისათვის ტექნიკუმის I კურსზე მიღებული იქნება 30 მსმენელი.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 1 ივნისიდან 31 ივლისამდე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი სბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ატესტაციონი, 4. სამი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ), 5. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 6. ჯანმრთელობის მოწმობა, 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე 8-წლიანი სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში:

1. სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 3. რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), 4. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

1953-54 სასწავლო წელს 8-წლიანი სკოლის ფრიადოსანი კურსდამთავრებულნი ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ.

მსმენელთა ჩარიცხვა იწარმოებს 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, ხოლო ფრიადოსნებისა 1 ივნისიდან 31 ივლისამდე.

ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

სხვა სოფლებიდან და რაიონებიდან ჩამოსულებს მიეცემათ უფასო ბინა. ტექნიკუმის მსმენელები მომარაგებულ იქნებიან ყველა საჭირო სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით.

ტექნიკუმის ყველა კურსზე მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქჩაის“ ჩხოროწყუს ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიური ტექნიკუმი ამზადებს საშუალო განათლების სპეციალისტებს ჩაის ფაბრიკებისათვის — ტექნიკოს-ტექნოლოგის წოდებით.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14 წლიდან 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლის სრული კურსი ან ჩაბარებული აქვთ ექსტერნად 8-წლიანი სკოლის პროგრამის ფარგლებში. 9, 10 და 11 კლასდამთავრებული მოსწავლეები მიიღებიან I კურსზე საერთო წესით, ასევე სხვა სპეციალობის ტექნიკუმების კურსდამთავრებულნი მიიღებიან სამი წლის საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ საერთო წესით. 1953-54 სასწავლო წლისათვის ტექნიკუმის I კურსზე მიღებული იქნება 30 მსმენელი.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 1 ივნისიდან 31 ივლისამდე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი სბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ატესტაციონი, 4. სამი ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ), 5. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 6. ჯანმრთელობის მოწმობა, 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე 8-წლიანი სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში:

1. სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 3. რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), 4. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

1953-54 სასწავლო წელს 8-წლიანი სკოლის ფრიადოსანი კურსდამთავრებულნი ტექნიკუმში მიიღებიან უგამოცდოდ.

მსმენელთა ჩარიცხვა იწარმოებს 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, ხოლო ფრიადოსნებისა 1 ივნისიდან 31 ივლისამდე.

ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

სხვა სოფლებიდან და რაიონებიდან ჩამოსულებს მიეცემათ უფასო ბინა. ტექნიკუმის მსმენელები მომარაგებულ იქნებიან ყველა საჭირო სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით.

ტექნიკუმის ყველა კურსზე მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.